

## "დიდი ოცნების" სამიტის ჰიპოთეტური შედეგები

სათუნა გაბიძია

უმალესი ფორუმი მექსიკის ქალაქ ლოს-კაბოსში დამთავრდა. განხილულია საკითხთა მრავალფეროვანი თემატიკა. "დიდი ოცნების" ლი-

დერებმა მექსიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე საკურორტო ქალაქში იმსჯელეს ევროზონის კრიზისზე, სირიაში შექმნილი ურთულესი მდგომარეობაზე, ევროპაში ასაგებ ანტისარაქეტო ფარსა

და მაგნიტსკის სიაზე - ეს იმ საკითხთა მოკლე ჩამონათვა-ლია, რომელზეც მსოფლიოს ლიდერებისა და მედიის ყურადღება გამახვილდა.

გაზრდილია  
მე-5 გვერდზე



## "რადაცხვს ძალიან ეფექტურად ვაკეთებთ"

მარი ახსიაშვილი

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა "საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრი - 112" დაათვალიერა. პრეზიდენტი ახალი ფორმატით ამოქმედებულ სამსახურში დედაქალაქის მერ გიგი უგულავასა და შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილთან ერთად მივიდა. მიხეილ სააკაშვილმა დღევანდელ და "ვარდების რევოლუციის" დროინდელ საქართველოს შორის არსებულ განსხვავებაზე ისაუბრა.

"მაშინ სასწრაფოს ბევრი ნომერი იყო - კერძო სასწრაფოები მუშაობდა და ადგილზე მისასვლელად 20

წუთიდან ერთ საათამდე დრო სჭირდებოდა, თუ საერთოდ მოვიდოდა. პოლიცია პოლიციის შენობაში იყო ჩაკეტილი და გერეკა, რამდენიც გინდა. მერე დადგა პერიოდი, რომ ჯობდა, პოლიციასთან არ დაგერეკა, რადგან თბილისის ყველა რაიონის პოლიციის უფროსი ბანდიტი იყო. ჩვენ ჩამოვყალიბეთ თანამედროვე, ნამდვილი სახელმწიფო ინსტიტუტები და ეს თუნდაც ამ სამსახურის მაგალითზეც ჩანს. ამ მხრივ ერთ-ერთი საუკეთესო ქვეყანა ვართ მსოფლიოში," - განაცხადა პრეზიდენტმა.

მან ამერიკის სახელმწიფო მდივნის ბათუმური ვიზიტის გაიხსენა, თუ რა დიდი

შთაბეჭდილება დარჩა ჰილარი კლინტონს.

"ჰილარი კლინტონმა აქ სომ გვაქო და გვაქო და ახლა ისრაელში საერთაშორისო მედიას უკითხავს ლექციას - კიდევ ვერ გამოვიდა ბათუმის შთაბეჭდილებიდან, ჩვენი იუსტიციის სახლი ცაში აყავს. ჩვენ რადაცხვს ძალიან ეფექტურად ვაკეთებთ," - დასძინა სააკაშვილმა.

შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილის შეფასებით, "საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრი - 112" სახელმწიფო უწყებების კოორდინირებული მუშაობის ბრწყინვალე მაგალითია.

გაზრდილია  
მე-3 გვერდზე

## ეგვიპტის არმია ძალაუფლებას არ თმობს

სალომე ჭანიშვილი

ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმალესი სამხედრო საბჭო, რომელიც ქვეყანას პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაკის გადაყენების შემდეგ მართავს, როგორც მოსალოდნელი იყო, არ ჩქარობს ხელისუფლების დათმობას. არჩევნების ოფიციალური შედეგები ჯერ არ გამოცხადებულა, საბჭომ კი უკვე გამოაქვეყნა დროებითი კონსტიტუცია. ახალი ძირითადი კანონის მიხედვით სამხედრო საბჭოს ფართო უფლებამო-

სილება მიენიჭა, მომავალი პრეზიდენტის ძალაუფლების შეზღუდვის ფონზე.

დროებითი კონსტიტუციის თანახმად, ეგვიპტის მომავალი პრეზიდენტი არ იქნება უმალესი მთავარსარდალი. მას არ შეეძლება, გამოაცხადოს ომი ან დადოს ზავი. მისი უფლებამოსილება არ ვრცელდება შეიარაღებულ ძალებზე. ამასთან ერთად, სამხედრო საბჭოს უფლება ეძლევა, აკონტროლოს ბიუჯეტი. ახალი პარლამენტის არჩევამდე საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქციებიც სამხედროების ხელში გადადის.

ეგვიპტეში და მის ფარგლებს გარეთ დოკუმენტი განიხილება, როგორც სამხედრო მმართველობის შემოღება. ექსპერტები ქვეყანაში სისხლიან დაპირისპირებას არ გამოიციხავენ. ეგვიპტის ჯარის სარდლების საკანონმდებლო ინიციატივა მიღებული იქნა, როგორც სამხედრო გადატრიალება, რადგან მისი პუნქტები ეწინააღმდეგება ადრე გამოქვეყნებულ პირობას, რომლის თანახმადაც, ძალაუფლება არჩეული პრეზიდენტის ხელში უნდა გადასულიყო.

გაზრდილია  
მე-4 გვერდზე

## სარჩიო მინდის ბრაზილია

"ოსკარის" ნომინანტი მუსიკოსის კონცერტი 22 ივლისს გაიმართება

ნა ვაკა



2006 წელს ჯგუფ The Black Eyed Peas-სმა საკუთარი რეპერტუარისთვის მეტად განსხვავებული და უჩვეულო კომპოზიციები ჩაწერა - ლეგენდარული ჟორჯ ბენ ჟორის კომპოზიციები, ბრაზილიური ბოსა ნოვას ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ჰიტად აღიარებული Mas Que Nada, რომელმაც რადიოში დატრიალებისთანავე შეიძინა ახალი სიცოცხლე. თუმცა ამ ამბის მთავარი მოვლენა მხოლოდ ეს არ ყოფილა - The Black Eyed Peas-ს სიმღერის ჩაწერისას პარტნიორი ჰყავდა, ასევე ლეგენდის სტატუსის მქონე სერჯიო მენდესი, რომელმაც ბენ ჟორის კომპოზიციას განსაკუთრებული ფლერადობა და ხასიათი შესძინა.

გაზრდილია  
მე-6 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6286\$
1 ევრო	2.0542\$
1 ინგლისური გირვანკა	2.5512\$
1 თურქული ლირა	0.9018\$
100 რუსული რუბლი	5.0062\$

თბილისი	28°C - 19°C
ქუთაისი	32°C - 21°C
თელავი	28°C - 14°C
ზუგდიდი	31°C - 19°C
ბათუმი	27°C - 19°C

ნავთობი	2.63	+0.00	-0.19%
გაზი	2.55	+0.00	+0.12%
ოქრო	1,607.00	-16.20	-1.01%
ხორბალი	649.75	+0.25	+0.04%

## ახალგაზრდა ბორჯღალოსნებმა კანადა დაამარცხეს

საქართველოს 20 წლამდე მორაგბეთა ნაკრებმა სოლტ ლეიკ სიტის მსოფლიო ალაფაზე ასპარეზობა გამარჯვებით დაიწყო. პირველი მეტოქე - კანადა 31:17 დაამარცხა და ზიმბაბვესთან სათამაშოდ განეწყო.

საბა ნიკოლაევამ ბორჯღალოსნები ზუსტი საჯარიმო დარტყმით მატჩის დებიუტშივე დაანინაურა. მალე კანადელებმა ტილორ პარისის ლელოთი უპასუხეს ქართველებს, კონორ მაკინმა კი გარდასახვა ზუსტად შეასრულა. ამის შემდეგ გუნდებმა თითო ზუსტი საჯარიმო გაცვალეს - 10:6 ჩრდილო-ამერიკელთა სასარგებლოდ. ახალგაზრდა ბორჯღალოსნებმა შეძლეს მონინა-ალმდგის დაცვის ხაზის გარღვევა - გიორგი ბინაძემ მალალ სიჩქარეზე აიღო ბურთი და ლელო დადო, ნიკოლაევამ კი ზუსტი გარდა-

სახვით საქართველო 13:10 დაანინაურა. კანადელებმა ტილორ პარისის ლელოთი გვიპასუხეს - ბურთი ქართველების 22-მეტრიანში აიღეს და დაცვის ხაზი გაგვიჭრეს, რასაც მაკინის მიერ ხელსაყრელი პოზიციიდან ზუსტად შესრულებული გარდასახვა მოჰყვა - 17:13. ქართველთა ირლანდიელი მწვრთნელის იან სმიტის შეგირდები კვლავ ნიკოლაევამ დაანინაურა. ორი საჯარიმო შეასრულა ზუსტად, რამაც ბორჯღალოსნებს ტაიმი 19:17 მოაგებინა.

გაზრდილია  
მე-8 გვერდზე

### ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!

ექსკლუზიურად „24 საათი“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინგაზოგს	5.90	4.90
ჰარი პოტერი და საიღუმლო ოთახი	9.00	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ქალაქი	6.90	3.00
ქართველები ამერიკაში	17.90	11.90
კავკასიის გამოპოლიტიკური ატლასი	15.90	11.00

"24 საათი" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე [www.24saati.ge](http://www.24saati.ge)  
ჩვენი პარტნიორები:

TBC BANK

FM 102.4

ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

91771987|9121001



### ცხინვალის უნივერსიტეტი სოფელ აჩაბეთში

თბილისის სახელობის ცხინვალის უნივერსიტეტი, შესაძლოა, ლიხვის ხეობის სოფელ აჩაბეთის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე გადაიტანონ. ცხინვალის უნივერსიტეტის შენობა აგვისტოს ომის დროს დაინგა. აჩაბეთი ცხინვალთან საკმაოდ ახლომდებარე სოფელია და შესაბამისად უნივერსიტეტის აჩაბეთში გადატანა მარიონეტებისთვის ყველაზე მისაღები აღმოჩნდა. მიუხედავად მარიონეტთა გეგმებისა, ეს ფაქტი ოსურმა მოსახლეობამ გააპროტესტა და დროებით პროექტიც შეჩერდა.

მარიონეტთა გეგმების მიხედვით, აჩაბეთი საუნივერსიტეტო ზონად უნდა გადაიქცეს, სადაც იქნება სასწავლო კორპუსები, სტუდენტთა საცხოვრებლები და სპორტული მოედნები.

ეს გეგმა ოსური მოსახლეობისთვის მიუღებელი აღმოჩნდა და ამჟამინდელ მარიონეტ პრეზიდენტ ლეონიდ თბილისს გადაეგზავნა საპროტესტო წერილი, 700-მდე ხელმოწერით.

წერილში ოსური მოსახლეობა ითხოვს, მსგავსი პროექტი ცხინვალში განხორციელდეს, რომლის ცენტრშიც ამჟამად უნივერსიტეტის დამწვარი შენობა დგას.

საკუთარი ინფორმაცია

### 16 მილიარდი რუბლი ცხინვალს

2015 წლამდე ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური სფეროს განვითარების მხარდასაჭერად რუსეთის ბიუჯეტიდან 16 მილიარდი რუბლის გამოყოფა დაგეგმილი.

შესაბამისი საინვესტიციო პროგრამა უკვე შემუშავებულია.

დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა რუსეთს ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღორძინების პროექტი გადაუგზავნეს. "ფორმირდება რუსეთის ბიუჯეტი, რომელშიც სამხრეთ ოსეთის სოციალურ-ეკონომიკური სფეროს განვითარებისთვის 2013-2015 წლებში 16 მილიარდი რუბლი იქნება გამოყოფილი. საინვესტიციო პროგრამა 2012 წლისთვის უკვე დამტკიცებულია და მომავალ კვირაში ველოდებით 1,5 მილიარდის ჩარიცხვას იმ ობიექტებისთვის, რომელთა მშენებლობა დაწყებულია და ჩაბარება მიმდინარე წელს არის დაგეგმილი," - განაცხადა

მარიონეტული რეჟიმის მშენებლობის მინისტრმა ანატოლი მაშელკინმა.

მას არ დაუკონკრეტებია, რომელ მშენებარე ობიექტებზეა საუბარი. ეს თანხებიც, სავარაუდოდ, გასულ წელს გადარიცხული თანხების ბედს გაიზიარებს და გაქრება ან, უკეთეს შემთხვევაში, კიდევ ერთი რუსული სამხედრო ქალაქის მშენებლობაზე დაიხარჯება.

საკუთარი ინფორმაცია

# უკომენტაროდ დატოვებული ინფორმაცია

იტალიაში გარიგებულ მატჩებთან დაკავშირებით ატეხილი აუიოტაჟის შემდეგ, ბიძინა ივანიშვილის მიერ სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად დასახელებული კახი კალაძის სახელი კვლავ სკანდალის ობიექტი გახდა. ამჯერად, საუბარია ყოფილ ფეხბურთელსა და "კანონიერ ქურდებს" შორის შემდგარ შეხვედრაზე.

ტელეკომპანია "რუსთავი 2-ის" და სხვადასხვა სოციალური ქსელის საშუალებით გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, "ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერი კახი კალაძე მილანის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში, ქართველ "კანონიერ ქურდებს" შეხვდა.

ამავე ინფორმაციით, ე.წ. ქურდულ სამყაროსთან შეხვედრა რამდენიმე დღის წინ გაიმართა და კახი კალაძემ ქართველ "კრიმინალურ ავტორიტეტებს" ბიძინა ივანიშვილის დანაბარები გადასცა - თუკი ისინი სხვადასხვა ქვეყანაში მობილიზებას მოახდენენ და "ქართული ოცნების"

მხარდასაჭერად ცენტრალიზებულად იმოქმედებენ, ივანიშვილი მათ ასეულობით მილიონ დოლარს გადაუხდის.

ამავე ინფორმაციით, ყოფილი ფეხბურთელი მილანში "ქურდული სამყაროს" ლიდერებს ჯემალ მიქელაძეს, თეიმურაზ ნემსინვერიძეს და ვლადიმერ ჯიბლაძეს შეხვდა. კახი კალაძის "კანონიერ ქურდებთან" შეხვედრის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია "ქართულ ოცნებაში" გუშინ კატეგორიულად უარყვეს. თავად კახი კალაძე კომენტარას არ აკეთებს.

როგორც News.ge-ს კახი კალაძის პრესსპიკერმა ოთარ ჩრდილელმა განუცხადა, ეს არასერიოზული, გამოგონილი თემაა. "ზღაპრებს ყვებიან, რაზეც კომენტარს არ გავაკეთებ," - განაცხადა ოთარ ჩრდილელმა.

"მსგავს თემებზე კომენტარს არ გავაკეთებ. რამდენჯერაც არ უნდა დამირეკოთ, მიიღებთ ასეთ პასუხს, ტყუილად ხარჯავთ ფულს ჩემთან ლაპარაკში," - განუცხადა

News.ge-ს "ქართული ოცნების" პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ.

# ბიძინა ივანიშვილის საქმი სააღსრულებო ბიუროს გადაცემა

ბიძინა ივანიშვილის დაჯარიმების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების საქმეში აღსრულების ეროვნული ბიუროს ჩაერთო.

"აღსრულების ეროვნული ბიუროში შემოვიდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაცემული ორი სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმადაც, ბიძინა ივანიშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმა 74 325 065 65 ლარი. საქმესთან დაკავშირებით დაინყო "სააღსრულებო წარმომადგენლობის საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცედურები. იგი პირველ ეტაპზე ითვალისწინებს მოვალის გაფრთხილებას, 7 დღის ვადაში მოახდინოს გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულება, რომლის გასვლის შემდგომაც იწყება იძულებით აღსრულების კონკრე-

ტული პროცედურები. ასევე ბიძინა ივანიშვილს განემარტება მისი ვალდებულება და ის პროცედურები, რაც გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება მის მიმართ," - ნათქვამია აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გავრცელებულ საგანგებო განცხადებაში.

ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი შალვა თადუმაძე აცხადებს, რომ აღსრულების ბიუროსგან ივანიშვილს არანაირი დოკუმენტი არ მიუღია.

"ჯარიმის გადახდის თაობაზე ივანიშვილი გადაწყვეტილებას მას შემდეგ მიიღებს, რაც აღსრულების ბიუროსგან ოფიციალური ცნობა მიუვა. ჯერჯერობით არანაირი დოკუმენტი არ მიგვიღია. როგორც კი რაიმე ცნობას მივიღებთ, ბატონი ბიძინა თავად განაცხადებს თავის გადაწყვეტილების შესახებ," - განაცხადა ადვოკატმა და განმარტა: "პირს უფლება აქვს, ნებაყოფლობით არ გადაიხა-

დოს სანქცია. რაც შეეხება ჯარიმის თანხაზე პროცენტების დამატებას, ეს განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა დანახარჯებს გასწევს სააღსრულებო ბიურო. სააღსრულებო ბიუროს მიერ გამოყოფილი შეიღწეული ვადის ამონაწერის შემდეგ, აღმასრულებელი კონკრეტულ გადაწყვეტილებებს მიიღებს იძულებითი აღსრულების შესახებ. ეს შეიძლება იყოს ქონების დაყვანება, თუმცა არა ქვეყნის ფარგლებს გარეთ," - ამბობს შალვა თადუმაძე.

რა გზით გადაწყდება "ქართული ოცნების" ლიდერისგან დაკისრებული ჯარიმის თანხის ამოღება, ამაზე კომენტარს ადვოკატი ამ ეტაპზე ვერ აკეთებს. თუმცა, გავრცელდა მოსაზრება, რომ შესაძლოა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება ბანკი "ქართუს" დაყვანებით მოხდეს.

ამ თემასთან დაკავშირებით გუშინვე საკუთარი პოზიცია დააფიქსირა ბანკ "ქართუს" პრე-

ზიდენტმა ნოდარ ჯავახიშვილმა: "აღსრულების ეროვნულ ბიუროს ბანკის დაყვანების უფლება არ აქვს, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ბანკ "ქართუსი" ბიძინა ივანიშვილს წილი დაუყვადლოს." ამასთან, ნოდარ ჯავახიშვილი ამბობს, რომ ზუსტად არ იცის, არის თუ არა ბიძინა ივანიშვილი ბანკ "ქართუს" ბენეფიციარი დამფუძნებელი.

"ჩვენი კანონმდებლობით, ბენეფიციარი დამფუძნებელი ვალდებულია, წელიწადში ერთხელ გააკეთოს ოფიციალური განცხადება, რომ ის ბენეფიციარი დამფუძნებელია. ბიძინა ივანიშვილს ასეთ დოკუმენტზე ხელი მოწერილი აქვს და წარდგენილია ეროვნულ ბანკში. თუმცა იმის მერე, გააკეთა თუ არა განაცხადი ბატონმა ბიძინამ, ჩემთვის უცნობია და, აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყვი, არის თუ არა ის "ქართუს" ბენეფიციარი დამფუძნებელი," - აცხადებს ნოდარ ჯავახიშვილი.

# ქართული კომპანიები საბერძნეთის ბაზრიდან გადის

საბერძნეთში მძინვარე ეკონომიკური კრიზისის ფონზე ქართული კომპანიების ნაწილი ქვეყნის ბაზარს ტოვებს, ნაწილს კი გაყიდვები მნიშვნელოვნად შემცირდა. კომპანია "Doctor Georgia"-ს ღირებულების განცხადებით, რომელიც საბერძნეთში ჩურჩხელასა და სუნელებს ყიდდა, ქვეყნის ბაზარი ეკონომიკური კრიზისისა და გაყიდვების შემცირების გამო და-


ტოვა. ბერძნული ბაზარი დატოვა ასევე კომპანია "შეფმა". კომპანიის გენერალური დირექტორის განცხადებით, "შეფმა" ბერძნული ბაზარი კრიზისამდე ცოტა ხნით ადრე დატოვა, რისი მთავარი მიზეზიც გაყიდვების შემცირება იყო.

"ჩვენი პროდუქცია ბერძნულ ბაზარზე ერთი წლის განმავლობაში გაგვეკონდა, თუმცა ხსენებული ბაზარი ჩვენთვის კომერ-

ციულად წამგებიანი აღმოჩნდა და, შესაბამისად, მასზე უარი ვთქვით," - აცხადებს "შეფის" გენერალური დირექტორი.

საბერძნეთის ეკონომიკური კრიზისის ასევე "ნაბელავის" გაყიდვებზეც აისახა, თუმცა კომპანიას ექსპორტი არ შეუწყვეტია. "პროდუქცია ჩვეულებრივ გაგვეკონდა ბერძნულ ბაზარზე, მიუხედავად გაყიდვების შემცირებისა," - აცხადებს "ნაბელავის"

მარკეტინგის მენეჯერი. საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2009 წელს საქართველოდან საბერძნეთში 12 მილიონი დოლარის ღირებულების საქონლის ექსპორტი განხორციელდა, 2010 წელს ეს მაჩვენებელი 8 მილიონამდე შემცირდა, 2011 წელს კი - 6 მილიონამდე, რაც 2009 წლის მაჩვენებელზე ორჯერ ნაკლებია.



საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ღრმა მწუხარებით იუნყება, რომ გარდაიცვალა საზოგადოებრივი რადიოს ტექნიკური სამსახურის უფროსი

### ალექსანდრა არჩილის ძე თარხნიშვილი

**პანაშვიდი:** ხუთშაბათი, პარასკევი;  
მისამართი: ვაჟა ფშაველას IV კვარტალი, №7  
კორპუსი, I სადარბაზო, III სართული.  
(ნუცუბიძის ქუჩის მხრიდან ნუცუბიძის №96);  
**გასვენება:** შაბათი 15:00  
ამაღლების ეკლესია (საბურთალოს სასაფლაოს ცენტრალურ შესასვლელთან).

"24 საათის" რედაქცია თანაუგრძნობს ლევან თარხნიშვილს ძმის  
**საწერო თარხნიშვილის**  
გარდაცვალების გამო.

## „ბანკი კონსტანტა“ ფილიალების და სერვის-ცენტრების ქსელს აფართოვებს

საგარეჯოს რაიონში, სოფელ იორმულანლოში ბანკი კონსტანტას ახალი სერვის-ცენტრი გაიხსნა. იორმულანლოს სერვის-ცენტრის გახსნა კახეთის რეგიონში ბანკი კონსტანტას მიერ მომხმარებლებისთვის შეთავაზებულ პროდუქტებზე მზარდმა მოთხოვნამ განაპირობა.

2012 წელს, სწორედ ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე, კახეთის რეგიონში უკვე გაიხსნა ბანკი კონსტანტას ახალი ფილიალები ყვარელში, დედოფლისწყაროში, თელავსა და საგარეჯოში. ასევე, გაიხსნა სერვის-ცენტრი ახმეტაში და განახლდა წნორის ფილიალი.

2012 წლის ბოლომდე ბანკი კონსტანტა საქართველოს მასშტა-

ბით, კიდევ 10-მდე ფილიალის გახსნას გეგმავს. კერძოდ, იორმულანლოში (საგარეჯოს რაიონი) ბანკი კონსტანტას მიერ 20 ივნისს გახსნილ სერვის-ცენტრს, 21 ივნისს ხონსა და 22 ივნისს ზუგდიდში ახალი ფილიალები შეემატება.

დამატებითი ფილიალების გახსნა კახეთსა და სამეგრელოში, ასევე განაპირობა ბანკი კონსტანტას მიერ მომხმარებლებისთვის შეთავა-

ზებულ პროდუქტებზე მზარდმა მოთხოვნამ.

ისევე, როგორც სერვის-ცენტრი, ორივე ფილიალიც ბანკი კონსტანტას მიერ შექმნილი ახალი კონცეფციის მიხედვითაა გაკეთებული. კონცეფცია შემუშავებულია მომხმარებლისთვის მყუდრო და მეგობრული ატმოსფეროს შესაქმნელად და ითვალისწინებს განახლებულ დიზაინსა და მომსახურების

მაქსიმალურ კომფორტს.

დღეისათვის, ბანკი კონსტანტა, ახალი ფილიალების ჩათვლით, საქართველოს მასშტაბით 37 ფილიალით არის წარმოდგენილი. მათგან 8 - თბილისში, 26 კი საქართველოს სხვადასხვა რეგიონშია განთავსებული.

2012 წლის ბოლომდე ბანკი კონსტანტა საქართველოს მასშტაბით, კიდევ 10-მდე ფილიალის გახსნას გეგმავს.



# "რადაცხადს ძალიან ეფექტურად ვაკეთებთ"

პირველი გვერდიდან

"ეს სამსახური ბრწყინვალე მაგალითია სხვადასხვა უწყებების, სხვადასხვა სამინისტროების, სხვადასხვა ორგანიზაციის კოორდინირებული მუშაობისა. ამ კოორდინაციის საბოლოო მიზანი მომსახურების ეფექტურობის გაზრდაა," - განაცხადა მერაბიშვილმა ცენტრში სტუმრობისას. მისივე თქმით, რამდენიმე სამსახურის გაერთიანებით შექმნილი ცენტრის ერთ-ერთი

მთავარი ფუნქციაა, რომ დროულად აღმოიფხვრას პრობლემა, რომელიც მომსახურების კუთხით ე.წ. პიკის საათებში იქმნებოდა.

"მოგესხენებათ, რომ პიკის საათებში ისეთ დაწესებულებებში, როგორცაა პატრული, სასწრაფო და საგანგებო სიტუაციების სამსახური, გარკვეული შეფერხებები იყო. ახლა ჩვენი ამოცანაა, ეს პრობლემა უახლოეს ორ თვეში უკვე აღარ არსებობდეს. საბიუჯეტო რესურსები ეფექტურად იქნება გამოყენებული იმისთვის, რომ თითოეულმა მოქალაქემ ნებისმიერი ტიპის დახმარება სწრაფად მიიღოს," - დასძინა ვანო მერაბიშვილმა.

დედაქალაქის მერ გიგი უგულავას თქმით კი, ქვეყანასა და თბილისში უსაფრთხოების განცდა დამკვიდრდა. "ქვეყანაში და თბილისის ნებისმიერ უბანში დამკვიდრდა უსაფრთხოების განცდა. ამ თვალსაზრისით პერიფერია თუ ცენტრი არ არსებობს - ყველა პერიფერია ცენტრია და ყველა ცენტრი - პერიფერია. ეს სწორედ იმან განაპირობა, რომ ქალაქში მცხოვრებ მოქალაქეებს უსაფრთხოების განცდა აქვთ. ეს ცენტრიც ამის ერთ-ერთი მაგალითია," - განაცხადა უგულავამ და ასეთი შედეგი უმნიშვნელოვანეს მიღწევად შეაფასა, რადგან, მერის თქმით, იქ, სადაც მოქალაქეებს უსაფრთხოების განცდა არა აქვთ, ბიზნესისა თუ სხვა სფეროს განვითარება წარმოუდგენელია.

## რუსეთი ფინეთს საქართველოს მხარდაჭერისთვის აკრიტიკებს

ფინეთი მხარს უჭერს საქართველოს რევანშისტურ გეგმებს - ამ შინაარსის განცხადება რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის ხელმძღვანელმა ფინეთში ვიზიტისას გააკეთა. ჰელსინკის უნივერსიტეტის ტრიბუნლიდან ნიკოლაი მაკაროვმა ოფიციალური ჰელსინკი საქართველოსთან და ნატო-სთან თანამშრომლობის გამო გააკრიტიკა. სიტყვით გამოსვლის დროს ნიკოლაი მაკაროვმა განაცხადა, რომ ფინეთისა და ნატო-ს თანამშრომლობა საფრთხეს უქმნის რუსეთს, სწორედ ამის გამო ხელისუფლებამ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან თანამშრომლობაზე უარი უნდა თქვას და სამხედრო სფეროში რუსეთთან თანამშრომლობა. მაკაროვის განცხადებებს მალევე უპასუხეს ჰელსინკიში. ფინეთის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ ჰელსინკი დამოუკიდებელი ქვეყანაა და თავად იღებს გადაწყვეტილებებს, თუ ვისთან თანამშრომლობს და რა ურთიერთობა ჰქონდეს ნატო-სთან. ფინეთის პრეზიდენტმა კი აღნიშნა, რომ გენერალ მაკაროვის განცხადებები არასწორ ანალიზზეა დაფუძნებული.

## ნიკა რურუა: "ზაგრატის ირგვლივ აყიოტაყი "იუნესკოს" მიერ გამოგზავნილი საშუალო დონის სპეციალისტის დასკვნამ გამოიწვია"

"ზაგრატის ტაძრის აღდგენა "იუნესკოს" მიერ შერჩეული ექსპერტების მიერ შედგენილი პროექტის მიხედვით მიმდინარეობდა და რესტავრაცია გაუგებრობის გამო შეწყდა," - ამის შესახებ კულტურის მინისტრმა ნიკა რურუამ გუშინ პარიზში, "იუნესკოში" გამართულ შეხვედრის შემდეგ განაცხადა. მისივე თქმით, მოგვიანებით "იუნესკომ" საკითხის შესახებ საშუალო დონის სპეციალისტი გამოგზავნა, რომლის დასკვნამაც ძველის ირგვლივ აყიოტაყი გამოიწვია. "ჩვენი ვალდებულებაა, ტაძარს დაუზღუდოთ პირვანდელი სახე. ის ყველაფერი, რაც ფოტოებისა და რენდერების სახით სოციალურ ქსელებში გავრცელდა, არის დეზინფორმაცია, მიმართული დესტრუქციისა და ამ საკითხის პოლიტიზებისკენ. ბუნებრივია, ამ ტყუილს ჩვენ გავფანტავთ. ამიტომაც ვარ აქ და ამიტომ შევხვდი მსოფლიო მემკვიდრეობის სამსახურის ხელმძღვანელს და ის შეცდომა, რომელიც ერთმა კონკრეტულმა ექსპერტმა დაუშვა, გამოსწორებულია," - აცხადებს რურუა. მისივე თქმით, საქართველოში დაბრუნების შემდეგ ტაძრის რეკონსტრუქციის შესახებ დეტალურ ინფორმაციას მიანდის საპატრიარქოს. კულტურის მინისტრი აღნიშნულ საკითხზე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელ ნიკოლოზ ვაჩიშვილთან ერთად, პრესკონფერენციის გამართვას გეგმავს.

## სარკინიგზო ხაზის 29-კილომეტრიანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა

მარაბდა-თეთრიწყაროს სარკინიგზო ხაზის 29-კილომეტრიანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. საქართველოს რეგონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა რამაზ ნიკოლაიშვილმა რეაბილიტირებული რკინიგზის ხაზი საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ აზერბაიჯანის ტრანსპორტის სამინისტროს სააქციო საზოგადოება "აზერ როუდ სერვისის" თავმჯდომარე ჯავიდ გურბანოვთან და შპს მარაბდა-კარნახის რკინიგზის დირექტორ ბიძინა ბრეგვაძესთან ერთად გახსნა და პირველი თბომავლის სასინჯო გატარებას დაეწყო. სარკინიგზო ხაზის აღნიშნული მონაკვეთი მარაბდა-თეთრიწყარო-ნალკა-ახალქალაქი-კარნახის სარკინიგზო ხაზის რეაბილიტაციის პროექტის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობის შესახებ საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის გაფორმებული საერთაშორისო შეთანხმების ფარგლებში განხორციელდა. მარაბდა-თეთრიწყარო-ნალკა-ახალქალაქი-კარნახის სარკინიგზო ხაზის რეაბილიტაციის პროექტი სამ ეტაპად ხორციელდება. ამჟამად, როგორც რამაზ ნიკოლაიშვილმა განაცხადა, მისი პირველი ეტაპი - მარაბდა-თეთრიწყაროს 29 კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. აღნიშნული პროექტის პირველ ეტაპზე განხორციელდა მარაბდის, წინწყაროსა და თეთრიწყაროს სარკინიგზო სადგურების და მათი დამხმარე შენობა-ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია. დღეს რამაზ ნიკოლაიშვილი და ჯავიდ გურბანოვი გერმანელი არქიტექტორის, იუნგერ მაიერის მიერ დამუშავებულ ახალქალაქის მშენებარე სარკინიგზო სადგურსა და მასთან არსებულ ურბანულ ურბანულ და გადასატვირთ პუნქტსაც მონახულებენ. ასევე, დაგეგმილია, თურქეთის მხარეს მიმდინარე სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დათვლიერებაც და საქართველო-თურქეთის საზღვარზე ახალქალაქი-კარნახის მონაკვეთზე მშენებარე 4 კმ სიგრძის სარკინიგზო გვირაბის მონახულება. მინისტრის თქმით, მარაბდა-თეთრიწყარო-ნალკა-ახალქალაქი-კარნახის სარკინიგზო ხაზის რეაბილიტაცია-მშენებლობის პროექტი, როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე რეგიონული თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი პროექტია. ახალი სარკინიგზო ხაზი ხელს შეუწყობს ტვირთბრუნვის გაზრდას და აზიიდან ევროპაში ტვირთების სწრაფად ტრანსპორტირებას.

# "სახალხო კრების" გზა ივანიშვილთან მივიდა

მამადა ლეკიაშვილი

"დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერი ნინო ბურჯანაძე გასული თვეების განმავლობაში კატეგორიულად გამოირიცხავდა ბიძინა ივანიშვილთან თანამშრომლობას. მიუხედავად იმისა, რომ 26 მაისს სამების საკათედრო ტაძარში შარშან ამავე დღეს დაღუპულთა სულის მოსახსენებელ პანაშვიდზე ბიძინა ივანიშვილი მივიდა, საპასუხოდ კი 27 მაისს ბურჯანაძე თბილისში ივანიშვილის პირველ წინასაარჩევნო აქციას შეუერთდა, მხარეები ერთ გუნდში გაწევრიანებას არ ვარაუდობდნენ. ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლასთან ერთად, საკუთარი პოზიცია დააფიქსირა "სახალხო კრების" თავმჯდომარემ ნონა გაფრინდაშვილმა. მისი თქმით, ივანიშვილის სახით პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა ლიდერი, რომელსაც გამარჯვების დიდი რესურსი აქვს. გაფრინდაშვილი იმედოვნებს, რომ ეს პოლიტიკური გუნდი მიზნის მიღწევას შეძლებს. "სახალხო კრების" თავმჯდომარის თქმით, ოპოზიციას ერთობა სჭირდება. მრავალრიცხოვანია ის ელექტორატი, რომელსაც არჩევნებში მონაწილეობის მიღება ჯერ არ გადაუწყვეტია. ამიტომ, გაფრინდაშვილის აზრით, ყველა ოპოზიცი-

ური ძალა უნდა გაერთიანდეს და სწორედ ეს კატეგორია გადმოიბიროს. ამ განცხადებების პარალელურად, "სახალხო კრება" ერთ-ერთმა წევრმა - გოგი ქავთარაძემ დატოვა. ის უკვე "ქართული ოცნების" მაჟორიტარია ზესტაფონში. უახლოეს მომავალში "ქართული ოცნება" კიდევ გაფართოვდება - მას "კრებიდან" სხვადასხვა წევრები შეუერთდებიან. თუმცა ჯერ არ არის ცნობილი, მოხვდება თუ არა კოალიციის რიგებში უშუალოდ ნინო ბურჯანაძე. ამ კითხვას გუშინ არც "დემოკრატიული მოძრაობის" პოლიტიკური საბჭოს წევრებმა უპასუხეს.

ბიძინა ივანიშვილმა "სახალხო კრებას" თანამშრომლობა კიდევ ერთხელ, გაზეთ "ასავალ-დასავალის" ფურცლებიდან შესთავაზა. გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში ივანიშვილი ამბობს: "ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი, ლუკა კურტანიძე და სოსო ჯაჭვლიანი თუ მოისურვებენ და რეგიონებში ჩვენთან შეთანხმებით მაჟორიტარად იყრიან კენჭს, ჩვენ მოვხსნით ჩვენს კანდიდატებს და სიამოვნებით დავდგებით მათ გვერდით!"

"სახალხო კრებამ" კი სწორედ გუშინ აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამართა და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ვითარება განიხილა.

აღმასრულებელმა საბჭომ ასევე განიხილა სხვა ოპოზიციური პოლიტიკურ ძალებთან ურთიერთობების ფორმები, მათ შორის - ბიძინა ივანიშვილის შემთავაზება მაჟორიტარი კანდიდატების შესახებ.

"სახალხო კრების" აღმასრულებელი საბჭო, რომელიც ყოველთვის ოპოზიციურ ძალთა ერთობლივი ბრძოლის მომხრეა, მიიჩნევს, რომ კოორდინირებული მოქმედებები ოპოზიციურ ძალთა მხრიდან აუცილებელია არსებული რეჟიმის დასამარცხებლად. მაჟორიტარ კანდიდატებზე შესაძლო შეთანხმება კი ამ კოორდინირებული ბრძოლის ერთ-ერთი კომპონენტია. აღნიშნულ საკითხებზე კონსულტაციების დაწყების უფლებამოსილება აღმასრულებელმა საბჭომ მიანიჭა საბჭოს ოთხ წევრს: ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს და ზატონებს გია ბურჯანაძეს, ლუკა კურტანიძეს და სოსო ჯაჭვლიანს," - აღნიშნულია "სახალხო კრების" განცხადებაში.

როგორც "სახალხო კრებაში" ამბობენ, ამ გადაწყვეტილებით გაუღრუბრა მედიაში ატეხილი აჟიოტაჟისა და კომენტარების გამო გადაწყვიტეს. საბჭომ საჭიროდ მიიჩნია, კიდევ ერთხელ მკაფიოდ განეცხადებინა, რომ "სახალხო კრება" თანამოაზრეთა და თანამებრძოლთა ერთიანი გუნდია და რეალურ

# "ბაზისბანკს"

## ჩინური კომპანია ყიდულობს

ინფო ნარკაბაშვილი

ჩინური ბიზნესგვითი საქართველოში ბანკს ყიდულობს, გარიგების თანხა 100 მლნ. დოლარის ფარგლებში იქნება. Xinjiang Hualing Industry and Trade Group, რომელიც 1988 წელს დაარსდა, "ბაზისბანკის" 90 პროცენტის შესყიდვას აპირებს. ინფორმაციას ამის შესახებ Financial Times-ი ავრცელებს. ჩინური კომპანიის ფინანსური დირექტორის განცხადებით, აქციების შესყიდვა 20-მდე აქციონერისგან მოხდება, მათ შორის ყველაზე მეტი წილი - 13,9 პროცენტი სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ზურაბ ციხისთავის მფლობე-

ლობაშია, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი კი 15 პროცენტს ფლობს.

ჩინური კომპანია საქართველოში 2006 წლიდან საქმიანობს ხე-ტყის გადამამუშავების სექტორში. კომპანიას 100 მლნ. დოლარის ინვესტიცია უკვე განხორციელებული აქვს და ინვესტიციების ზრდას 500 მლნ. აშშ დოლარამდე გეგმავს. მათ შორის, 300 მლნ. აშშ დოლარის ინვესტირება თბილისთან ახლოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მოწყობაში მოხდება.

შანხაში გამართულ საინვესტიციო ფორუმზე ჩინური კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პირველად საქართველოში დაინტერესება

მდიდარმა ტყის რესურსებმა განაპირობა, მან ასევე განაცხადა, რომ საქართველოში ლიბერალური და ხელსაყრელი ბიზნესგარემოა და ეს ინვესტიციების განხორციელებისათვის საუკეთესო პირობას წარმოადგენს.

გარიგების თანხა ჩინური კომპანიისთვის არც ისე დიდია, საქართველოსთვის კი, სადაც ახალი ინვესტიციები მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, ხელსაყრელია, -- წერს Financial Times-ი.

გამოცემის ინფორმაციით "ბაზისბანკის" აქტივები 154 მილიონ ლარს შეადგენს და მას საქართველოში მოქმედ ბანკებს შორის მეთერთმეტე პოზიცია უკავია. "ბაზისბანკის" მოგება 2011 წელს - 3,52

მლნ. ლარს, 2010 წელს კი 2,07 მლნ. ლარს შეადგენდა.

"ბაზისბანკი" ჩინურ კომპანიასთან მოლაპარაკებებს არ უარყოფს. "ბაზისბანკის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განცხადებით, "მოლაპარაკებები როგორც აზიურ, ისე ევროპულ საფინანსო ინსტიტუტებთან მიმდინარეობს, თუმცა გადაწყვეტილება ჯერჯერობით არცერთი ინვესტორის სასარგებლოდ არ არის მიღებული."

"ბაზისბანკში" აცხადებენ, რომ "ბაზისბანკით" საერთაშორისო დონის ინვესტორების დაინტერესება ბანკის სტაბილურმა მუშაობამ და ბაზარზე სტაბილურმა ოპერირებამ განაპირობა.



# ეგვიპტის არმია ძალაუფლებას არ თმობს

პირველი გვერდიდან

ქვეყნის ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან გამოყოფილი ინფორმაციის თანახმად, 13-მა მილიონმა ამომრჩეველმა ხმა მუჰამედ მურსის მისცა, აჰმად შაფიკს - ერთი მილიონით ნაკლებმა. მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტეში საპრეზიდენტო არჩევნების ოფიციალური შედეგები 21 ივნისს გამოქვეყნდება, "მუსულმანი ძმების" ლიდერმა უკვე გააკეთა განცხადება საკუთარ გამარჯვების თაობაზე. მუჰამედ მურსი რეგულაციით იმუქრება იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების შედეგები გაყალბებული იქნება. ალბათ იგულისხმება - თუ ის ვერ გაიმარჯვებს.

ამომრჩევლისგან განსხვავებით, ეგვიპტის სამხედროები მხარს მურსის მონინალმდევს სამოქალაქო მმართველობის მომხრე კანდიდატს, ექსპრემიერ - აჰმედ შაფიკს უჭერენ (ისიც ყოფილი ოფიცერი). სამხედროებს არ სურთ, ქვეყნის ძალაუფლება ისლამისტებს გადასცენ.

ექსპერტების აზრით, ამ ორი ძალის დაპირისპირება აუცილებლად გამოიწვევს ახალ კონფლიქტს. "ჯარი არსად წავა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იქნება მცდელობა, ქვეყნის ორ მთავარ პოლიტიკურ ძალას შორის კონსენსუსის მიღწევის გზით ერთგვარი სიმბიოზი დამყარდეს. ამის შედეგად ისლამისტების მადა, სავარაუდოდ, შემცირდება."

მეორე ვარიანტი - სასტიკი ბრძოლაა. უფრო პესიმისტურად განწყობილი მიმომხილველების აზრით, პოლიტიკური ოპოზიცია ეგვიპტეში მოვლენების მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობას არ ტოვებს. მისი განცხადებით, რამდენიმე სცენარი არსებობს. პირველი ვარიანტი - ალყურული. სამხედროები ახერხებენ ისლამისტების პოლიტიკური მიღწევების ლიკვიდაციას, რომლის შედეგადაც ქვეყანაში პარტიზანული ტიპის სამოქალაქო ომი დაიწყება. მეორე ვარიანტი - ირანული. ამ შემთხვევაში ისლამისტები თავის კანდიდატს სვამენ ხელისუფლებაში, ხვდებიან, რომ ჯართან ვერ მოილაპარაკებენ და საჭიროა მათი სადმე "დაფეკვა". აქ ერთადერთი გამოსავალი მათ-



თვის არის ომი ისრაელთან. მესამე ვარიანტი სრული წგრევა, ანარქია და ომი - ყველა ყველას წინააღმდეგ. ამასთან ერთად, აშშ-მ მოუწონა ეგვიპტის სამხედროებს, რაც შეიძლება მალე გადასცენ მთელი ძალაუფლება არჩეულ პრეზიდენტს. "აუცილებელია, ეგვიპტელებს დემოკრატიული პროცესების რწმენა დაუბრუნდეთ. საბჭომ მის მიერ აღებული ვალდებულებები უნდა შეასრულოს," - განაცხადა სახელმწი-

ფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმა. ათობით ათასი ადამიანი შეიკრიბა გუშინ კაიროში, თაჰრირის მოედანზე. ისინი აპროტესტებენ მმართველი სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებას, რომელიც ამ უკანასკნელის ძალაუფლებას ზრდის. საპროტესტო აქცია გაიმართა "მუსულმანი ძმების" მონაწილეებით. როგორც ზემოთ უკვე ვნერდით, ისინი ამტკიცებენ, რომ საპრეზიდენტო არჩე-

ნებზე, რომელიც კვირას გაიმართა, მათმა კანდიდატმა მუჰამედ მურსიმ გაიმარჯვა. ამავე დროს, საკუთარი გამარჯვების შესახებ განცხადებას აკეთებს მისი მონინალმდევე, ექსპრემიერ-მინისტრი აჰმედ შაფიკი. ეგვიპტეში დიდია იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც მზად არიან, მიიღონ სამხედრო მმართველობა, რადგან შიშობენ, რომ "მუსულმანი ძმების" გამარჯვების შემთხვევაში მათი სამოქალაქო მმართველობა შესაძლოა, ირანის მსგავსად, თეოკრატიული გახდეს.

აქტივისტები მიმდინარე მოვლენებს "სამხედრო გადატრიალებად" აფასებენ. ისინი აპროტესტებენ სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებას იმავე ადგილზე, სადაც აქციების ნაკადმა გასულ წელს პრეზიდენტ მუჰარაბის გადაყენება გამოიწვია. აქტივისტებს შორის არიან ახალგაზრდული და ლიბერალური ორგანიზაციის წევრებიც, რომელთა უმრავლესობამაც უარი თქვა ხმის მიცემაზე არჩევნების ბოლო რაუნდში.

აქტივისტები ასევე ყურადღებით ადევნებენ თვალს ჰოსნი მუბარაჰის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ახალ ამბებს. ექსპრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია გავრცელდა, რომელთა შორისაც ბევრი არასწორი იყო. ბოლოს გავრცელებული შედარებით სანდო ინფორმაციით, 84 წლის პოლიტიკოსმა ინსულტი გადაიტანა და იმყოფება "უგონოდ, შეერთებულია ხელოვნური სუნთქვის აპარატზე". იგი ციხიდან სამხედრო ჰოსპიტალის რეანიმაციულ პალატაში გადაიყვანეს. მისი მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

## ბიზნესი

### ვმრ-ში რუსეთის ბანკრიანება საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა

თინა შავაძე

რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატების ნდობით აღჭურვილმა პირმა საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა. დეპუტატები იმ საერთაშორისო ხელშეკრულების გადახედვას მოითხოვენ, რომელიც ვაჭრობის მსოფლიო ორგა-

ნიზაციაში რუსეთის განვერიანებას ადასტურებს. მოქმედი კანონმდებლობით წარდგენილი საჩივარი სასამართლო წარმოებაში რომ ჩაეშვას, დუმის, მინიმუმ, 90 დეპუტატმა უნდა მოაწეროს ხელი. გუშინ საკონსტიტუციო სასამართლომ წაიკითხა მინდობილობა აღნიშნულ საქმეზე, რომელსაც 131 წევრმა მოაწერა ხე-

ლი, მათ შორის დუმის ფრაქციების ლიდერებმა გენადი ზიუგანოვმა და სერგეი მირონოვმა. თავიანთ მიმართვაში დეპუტატები აღნიშნავენ, რომ დაირღვა ხელშეკრულების რატიფიცირების პროცედურა: არც ხელისუფლება და არც სახელმწიფო სათათბირო არ დაემორჩილა კონსტიტუციურ მოთხოვნებს. ასევე რუსმა კანონმდებლებმა

აღმოაჩინეს, რომ რატიფიცირება მხოლოდ იმ ოქმის საფუძველზე მოხდა, რომელიც რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში 1994 წლის განვერიანებას ეხებოდა. დანარჩენი დოკუმენტები დეპუტატებს თვალთ არ უნახავთ. ასევე პრობლემა ხელშეკრულების თარგმნისა და ხელმოწერის მხრივ. ცნობისათვის - რუსეთის პრეზი-

დენტმა ვლადიმერ პუტინმა 4 ივნისს, ხელშეკრულების რატიფიკაციის დღეს განაცხადა, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში განვერიანების შემდეგ რუსეთს ექნება გარდამავალი პერიოდი გარკვეულ დარგებში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში და ასევე "იქნება ნამდვილი რისკებიც", რომელთა მინიმალიზაციაც მოხდება.

### რვენი პლანეტის მილიონარება 42 ტრილიონი დოლარი დაკარგა

თინა შავაძე

ფრანგული საკონსულტაციო ფირმის Capgemini-ისა და Royal Bank of Canada-ს კვლევის თანახმად, რომლის სახელწოდებაც "მსოფლიოს მდიდართა ანაგარიში 2012", პლანეტის მილიონერთა დოლარებში შეფასებული ქონება ბოლო სამი წლის განმავლობაში პირველად შემცირდა. ამის მიუხედავად, მილიონერთა საერთო რაოდენობა 0,8 პროცენტით გაიზარდა და 11 მლნ ადამიანს მიაღწია.

საერთო მდგომარეობით, 2011 წელს მილიონერთა შემოსავალი დოლარებში 1,7 პროცენტით დაეცა და 42 ტრილიონი დოლარი შეადგინა. უმდიდრესი ადამიანების შემოსავლების კლება 2008 წლიდან აღინიშნება. შედარებისთვის, 2010 წელს მილიონერების ფინანსური მდგომარეობა 9,7 პროცენტით გაუმჯობესდა და შემოსავლებმა 42,7 ტრილიონი დოლარით მოიმატა. კვლევის ავტორები აღნიშნავენ, რომ 2011 წელი, უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში, ყველაზე დი-



დი რყევებით გამოირჩეოდა. ამ წელს მილიონერებმა 42 ტრილიონი დოლარი დაკარგეს. მილიონერთა უმეტესობა - საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიასა და გერმანიაში ცხოვრობს. პირველად, 16 წლის განმავლობაში, რეგიონებს შორის პირველად იმავე აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი გავიდა იქ მცხოვრებ მილიონერთა ყველაზე მეტი რაოდენობით. მილიონერთა რიცხვის ყველაზე სწრაფი ზრდა ბრაზილიაში დაფიქსირდა - 6,2 პროცენტით.

### MICROSOFT-მა ბაზარს პლანეტარული კომპიუტერი SURFACE-ი შესთავაზა

თინა შავაძე

კორპორაცია Microsoft-მა ორი დღის წინ ლოს-ანჯელესში თავისი პირველი პლანეტარული კომპიუტერის Surface-ის პრეზენტაცია გამართა. ეს პროდუქტი შეიძლება, Apple-ის მიერ წარმოებული iPad-ის კონკურენტი გახდეს. Associated Press-ის ინფორმა-

ციით, Surface-ის პრეზენტაცია კორპორაციის აღმასრულებელმა დირექტორმა სტივ ბალმერმა გააკეთა. მისი თქმით, წარმოდგენილი პლანეტარული კომპიუტერი "ოჯახის კომპიუტერული მონაცემების სრულიად ახალი" მაგალითია. Surface-ის ძირითადი იდეოლოგიური თავისებურება, სენსორული კლავიატურის გარდა, არის დესკ-ტოპ-ბიზნესაპლიკაციების სრული

შეთავსებულობა Windows-ის საოპერაციო სისტემასთან, მათ შორის Microsoft Office-ის ყველა პროგრამასთან. Wall Street Journal-ის ინფორმაციით, საკუთარ საოპერაციო სისტემაზე დაფუძნებული ბიზნესპლანეტის გამოტანით Microsoft-ი მობილური მონაცემების სფეროში თავისი მიკრძალვული როლის კომპენსირებას ცდილობს.

პრეზენტაციაზე Microsoft-მა Surface-ის ორი მოდელის დემონსტრირება მოახდინა - ოპერაციული სისტემა Windows RT და Windows 8 Pro. კორპორაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პლანეტარული კომპიუტერის ფასი iPad-ის ფასისგან დიდად არ განსხვავდება. ამგვარად, თითქმის 40 წლის განმავლობაში კორპორაციამ პირ-

ველად შეცვალა ბიზნესის სტრუქტურა. Microsoft-ის ბრენდის ქვეშ გამოსული პირველი პლანეტარული Surface-ი საოპერაციო სისტემა Windows 8-ის ბაზაზე იმუშავებს, რაც იმას ნიშნავს, რომ Microsoft-ი კონკურენციას გაუწევს თავის მთავარ პარტნიორებს: Dell-ს, HP-სა და Lenovo-ს, რომლებიც საკუთარ კომპიუტერებს Windows-ის ბაზაზე აწარმოებენ.



## "დიდი ოცეულის" სამიტის ჰიპოთეტური შედეგები

**პირველი გვირგვინი**

ევროზონის კრიზისი, რომლის წარმატებით დაძლევაზე ბევრი კონტინენტის ევროპული ნაწილის ძლიერი სახელმწიფოები ამ დრომდე ვერ ახერხებენ, დღემდე სადავო თემად რჩება. მისი გადაჭრის გზები განსხვავებულად მოჩანს ატლანტიკის ოკეანის მეორე სანაპიროდანაც. ერთადერთი, რაზეც ფორუმის მონაწილეებმა შეთანხმება მოახერხეს, ძალისხმევის გაერთიანება ეკონომიკურ კრიზისთან საბრძოლველად და საერთაშორისო სავალუტო ფონდის შევსება 450 მილიარდი დოლარით. თუმცა, ამავდროულად, ქვეყნებმა, რომლებიც ევროკავშირის სივრცეში არ შედიან, გაზარდეს ზენონა ბრიუსელზე, რათა ამ უკანასკნელებმა მიიღონ აუცილებელი პოლიტიკური ზომები კრიზისის დასაძლევად და მსოფლიო ეკონომიკის დასაცავად. როგორც ფორუმზე აღმოჩნდა, ევროკავშირის პარტნიორებს სურთ, რომ ევროპის ცენტრალური ბაზი მოვალე ქვეყნებს აქტიურად დაეხმაროს.

ლოს-კაბოსში საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა პირობა დადო, რომ ფულადი სახსრები ახალი გადასახადებიდან განხილდება. "ვიმედოვნებ, ზოგიერთ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით მალევე შევძლებთ ფინანსურ ოპერაციებზე გადასახადების დაწესებას. მე როცა ვამბობ მაღეს, ვგულანდობ 2013 წელს," - აღნიშნა ფრანსუა ოლანდმა.

როგორც ზემოთა აღნიშნული, ლოს-კაბოსში საერთაშორისო საზოგადოებისთვის კიდევ ერთ უმნიშვნელო და არანაკლებ რთულ თემამ - სირიაში შექმნილ შემზარავ მდგომარეობაზეც იმსჯელეს, სადაც მშვიდობიანი მოქალაქეების მასობრივი მკვლელობა ამ დრომდე არ წყდება, ხოლო სამოქალაქო ომზე ოფიციალურად საუბარი გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ცოტა ხნის წინ დაიწყო. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას განცხადებით, კრიზისიდან გამოსავლის თაობაზე ოფიციალური დამსკოს მოსაზრებები კვლავ განსხვავებულია, მაგრამ



თვით ოფიციალურმა მოსკოვმაც და პეკინმაც ვითარების სერიოზულობა უკვე აღიარეს. ამერიკის შეერთებული შტატები ფიქრობს, რომ სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ალ-ასადმა ყოველგვარი ლეგიტიმურობა დაკარგა და საქირია მისი ნასვლა ქვეყნის უმადლესი თანამდებობიდან. "არ იქნება მართალი, თუ გეტყვით, რომ ჩვენი პოზიციები დაემთხვა; მაგრამ რუსეთი და ჩინეთი აღიარებენ, რომ ვითარება სერიოზულია და ის არ შეესაბამება საერთაშორისო საზოგადოების და სირიელი ხალხის ინტერესებს. ისინი ასევე ათვითცნობიერებენ, რომ პრობლემის მოგვარება ჩვენი ყველასთვის სასარგებლო იქნება. ბატონ პუტინთან და ჰუ ძინტაოსთან საუბრის ერთ-ერთი ძირითადი თემა, სწორედ, სირიის საკითხი იყო. პირადად მე სირიაში ვითარების შეცვლა, ვიდრე ხელისუფლების სათავეში ბაშარ ალ-ასადი რჩება, შეუძლებლად მიმაჩნია," - განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ. რუსეთი და ჩინეთი კი ამ დრომდე ვიუტად იმეორებენ, რომ საგარეო ჩარევა და ზენონა დაუშვებელია, რადგან გარედან ქვეყნის საშინაო საქმეების გადაწყვეტა არ ხდება. ვინ მოვა ხელისუფლების სათავეში სირიაში ან უნდა გადადგეს თუ არა მმართველი რეჟიმი - ეს მხოლოდ ადგილობრივების გადასაწყვეტია. ამასთან დაკავშირებით რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ სირიაში ხელისუფლების შეცვლა

მხოლოდ კონსტიტუციური გზით უნდა მოხდეს. "ჩვენ მივიჩნევთ, რომ არავის აქვს უფლება, გადაწყვეტილებები სხვა ქვეყნების მხრიდან მიიღოს. არავის საქმეა, ვინ მოვა სირიის ხელისუფლებაში და ვინ უნდა გადადგეს ხელისუფლებიდან. მთავარია არა ხელისუფლების შეცვლა, არამედ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ქვეყანაში მშვიდობის დამყარება. ამ მიზნის მიხედვით კი სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელი. პირველ რიგში, მხარეებმა ცეცხლი უნდა შეწყვიტონ, მოლაპარაკებების მაგილად მიუსხდნენ და წინასწარ უნდა შეთანხმდნენ, თუ როგორ იცხოვრებენ ერთად," - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

სირიის საკითხზე აზრთა სხვადასხვაობის გარდა, სამიტის ბოლო სამუშაო დღეს კიდევ ერთი მთავარი ინტრიგა გაიხსნა. მიუხედავად ბარაკ ობამასა და ვლადიმირ პუტინის შეხვედრის დიდი მოლოდინისა და სახელმწიფო მეთაურთა ერთგვარი ტრადიციული შეფასებებისა, დასკვნითი გამოსვლები მაინც შთამბეჭდავი აღმოჩნდა. ოფიციალური მოსკოვის სიტყვიერება გზავნილებში ვაშინგტონისადმი აშკარად მუქარის ტონები გაიხსნა, საქმე მაგნიტსკის სასახლას და მის გარშემო არსებულ დაპირისპირებას ეხება. "ვფიქრობ, რომ ეს საკითხი კონგრესში ასეთ დიდ ყურადღებას არ უნდა იწვევდეს, მაგრამ თუ ისინი რუსეთის მოქალაქეებს ამერიკის შეერ-

თებულ შტატებში შესვლაზე, ანალოგიურ ლიმიტებს რუსეთის ფედერაციაში შემოსვლაზე ჩვენც დავანხებთ. მე არ ვიცი, რაში სჭირდებათ ეს. ეს ჩვენი არჩევანი არ არის," - აღნიშნა ვლადიმირ პუტინმა. მაგნიტსკის სია, როგორც ჩანს, მოსკოვისთვის მართლაც მტკივნეული თემაა, რამაც შესაძლოა, ორი ქვეყანა ურთიერთობების დაძაბვამდეც მიიყვანოს; მაგრამ ამის მიუხედავად, ამერიკელი კონგრესმენები უკან დახვევას არ აპირებენ. საკითხის განხილვა, რომელიც 19 ივნისს იყო დაგეგმილი, 26 ივნისისთვის გადაიდო.

არანაკლებ ცხარე აღმოჩნდა კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც პოლიტიკის მოწოდებებს ამერიკელიები და რუსები ამ დრომდე ვერ ახერხებენ - ეს არის ანტისარაკეტო ფარი ევროპაში. "ანტისარაკეტო სისტემების საკითხი არ გადაწყდება, მიუხედავად იმისა, აირჩევენ თუ არა კიდევ ერთი ვადით პრეზიდენტად ბარაკ ობამას. შეერთებული შტატები საკუთარ ანტისარაკეტო სისტემას ქმნის უკვე რამდენიმე წელია და მე ვერ ვხედავ რა გზას, რითიც მათ გადაწყვეტილებას შევაცვლევინებთ. ჩვენ მათ ვთავაზობდით, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი და ევროპა ამ პროცესების თანაბარუფლებიანი მონაწილეები ყოფილიყვნენ, რაც იმას ვლადიმირს ნიშნავს, რომ ერთად შეგვექმნა ანტისარაკეტო სისტემები, ერთად განვევსაზღვრათ ნებისმიერი ქვეყნიდან მომდინარე საფრთხეები და სამივე მხარეს შეგვეძლებოდა ამ სისტემების შექმნა. ასეთი მიდგომა ვითარებას კარდინალურად შეცვლიდა," - საქმად უხედავდ განაცხადა ვლადიმირ პუტინმა.

ამგვარად, ლოს-კაბოსის სამიტის დასრულების შემდეგ დასავლელმა ანალიტიკოსებმა აქტიურად დაიწყეს რუსეთ-ამერიკის მიდგომებში არსებულ განსხვავებებში მასშტაბების ძიება. ფაქტია, რომ ოფიციალურ მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის "გადაჭრის ზონის" პოლიტიკაში არსებულმა სერიოზულმა სირთულეებმა კიდევ ერთხელ იჩინა თავი.

### ტულუზაში ტერორისტმა მძევლები აიყვანა

საფრანგეთის ქალაქ ტულუზას ერთ-ერთ ბანკში შეიარაღებულმა მამაკაცმა ოთხი ადამიანი აიყვანა მძევლად, მათ შორის, ფილიალის დირექტორი. შემთხვევა ბანკ "CIC"-ში მოხდა. შეიარაღებულმა მამაკაცმა ერთხელ ჰაერში ისროლა. პოლიციამ ბანკს ალყა შემოარტყა. 22 მარტს პოლიციამ ამ ქალაქში სპეცოპერაციის მოკლა მუშაზედ მერა, რომელმაც 7 ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს. ბანკ "CIC"-ის ფილიალი მოპაემდ მერას სახლთან ახლოს მდებარეობს.

ტერორისტი, რომლის სახელიც გუშინ სადაომოდ არ გახმაურებულა, აცხადებდა, რომ "ალ კაიდას" წევრია. თავიდან გაერცვლდა ინფორმაცია, რომ ის იმ სპეცრაზმელთან ითხოვდა შეხვედრას, რომელმაც 2012 წლის მარტში მისი "კერპი" მუშაზედ მერა მოკლა. თუმცა მოგვიანებით პოლიციამ განაცხადა, რომ ბანკში შეჭრილი შეიარაღებული პირის მიზანი თავიდან იყო ძარცვა, და როდესაც მას ნაღდი ფული არ მისცეს, პისტოლეტი ამოიღო, ჰაერში გაისროლა და მძევლები აიყვანა. მოგვიანებით გაირკვა, რომ თავდამსხმელი ფსიქიკურად გაუნორმალრებული პირია და დიდი ხანია ცნობილი ადგილობრივი პოლიციისათვის. მოლაპარაკებების შედეგად ჯერ ერთი, შემდეგ კი მეორე მძევლის გათავისუფლებაც მოხერხდა. სალაპარაკისთვის თავდამსხმელი პოლიციამ სპეცოპერაციის შედეგად აიყვანა, მის დაკავებას სროლაც ახლდა და თავდამსხმელი დაჭრილია. მძევლები არ დაშავებულან.

### პაკისტანში "ალ კაიდასთან" კავშირის გამო ფრანგი დააკავეს

პაკისტანის ხელისუფლებამ ირანის საზღვართან დააკავეს საფრანგეთის მოქალაქე, ალყურული წარმოშობის შეიარაღებული მებრძოლი, რომელსაც "ალ კაიდასთან" კავშირში ედება ბრალი. პაკისტანის მალაჩინოსნები საუბრობენ, რომ დაკავებული, შესაძლოა, "ალ კაიდას" ერთ-ერთი ხელმძღვანელის ოფისი მასობრივი ინფორმაციის იყო. ეს უკანასკნელი გასული წლის სექტემბერში დააკავეს. შეიარაღებული მებრძოლის დაკავების გარემოებების შესახებ დეტალური ინფორმაცია არ გავრცელებულა.

### გაერო სირიიდან დამკვირვებლებს არ გაიყვანს

სირიაში გაეროს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მიუხედავად ქვეყანაში არსებული ძალადობისა, გაეროს მისია სირიას არ დატოვებს. გენერალი რობერტ მუდი ცოტა ხნის წინ გაეროს უშიშროების საბჭოს წევრებს შეხვდა. შაბათს მისიის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ქვეყანაში შექმნილი სარიცხო სიტუაციიდან გამომდინარე მისია სირიაში მუშაობას დროებით წყვეტდა. "მე კვლავ ვრჩები მისიაში. ჩვენ იმ მდგომარეობაში დავრჩებით, რომელშიც ვართ. არსად წასვლას არ ვაპირებთ," - აღნიშნა მუდი.

გაეროს გენერალური მდივნის მოადგილემ სამშვიდობო ოპერაციების დარგში ერევ ლაღსუმ რეპორტიორებს განუცხადა, რომ "თანამშრომლობა, ამ დროისათვის საერთოდ არ შევცვალოთ და ქვეყანაში არსებული სადამკვირვებლო მისია ისე დავეტოვოთ, როგორც არის."

თუმცა, როგორც ერთ-ერთი დიპლომატი აღნიშნავს, გენერალი მუდი ამ გადაწყვეტილების მიღების დროს უხალისოდ გამოიყურებოდა. დიპლომატის თქმით, მუდიმა საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ სირიაში ყოფნისას მისიას ათჯერ პირდაპირ და ასჯერ არაპირდაპირ დაესხნენ თავს. მუდის თქმით, მისიის მანქანებს წინა რვა დღის განმავლობაში ცხრაჯერ დაესხნენ თავს.

### აფეთქება ავღანეთში. სულ მცირე, ათი ადამიანი ემსხვერპლა

ავღანეთის ოფიციალური პირების თქმით, ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში დაწინამდებარებული მოტოციკლები მკვდომი თვითმკვლელი ტერორისტი საერთაშორისო ძალების კოლონას შეასკდა. შეჯახებამ აფეთქება გამოიწვია, რასაც, სულ მცირე, 18 ადამიანი ემსხვერპლა. ჰოსტის პროვინციის საბჭოს წევრის შაფიკ მუჯაჰიდის თქმით, თავდასხმა დადეს პროვინციის დედაქალაქში მოხდა. დაღუპულებს შორის პოლიციის ორი ოფიცერი და რამდენიმე ბავშვია. ჯერ უცნობია, არიან თუ არა დაღუპულებს ან დაჭრილებს შორის საერთაშორისო ძალების სამხედროები. საერთაშორისო კოალიციის წარმომადგენლის თქმით, მომხდართან დაკავშირებით შესაფერისი ინფორმაცია ჯერ არ აქვს.

### ასანჭმა ეკვადორს პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა

პოლიციის განცხადებით, სკანდალურ ვებ-გვერდ "ვიკილიკსის" დამაარსებელი ჯულიან ასანჯს, თავდებობის პირობის დარღვევის გამო, დააპატიმრებდა ულს. ასანჯმა გუშინ ღამე ეკვადორის საელჩოში გაატარა. ასანჯმა ცოტა ხნის წინ ეკვადორს პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა. "ეკვადორი ქვესწავლის და გააანალიზებს მიმართვას," - განაცხადა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა რიკარდო პატიონომ. ივნისის ბრიტანეთის უზენაესმა სასამართლომ შევედეთი ექსტრადიციის საქმის გადახედვის შესახებ უარი უთხრა ასანჯს, სადაც მას ექსპლუატორ ძალადობაში სდებენ ბრალს. ასანჯი ყველა ბრალდებას უარყოფს. "ვიკილიკსმა" პოპულარობა ამერიკის სახელმწიფო სტრუქტურების საიდუმლო დოკუმენტების გამოქვეყნების შედეგად მოიპოვა. ულსამ ასანჯი ორწმუნება, რომ შევედეთი ექსტრადიციის შემთხვევაში მას ამერიკაში გააგზავნიან, სადაც სიკვდილით დასჯიან.

*მოამზადა თამა კახაძემ*

## საბერძნეთში მთავრობა შეიქმნა

იკა ჰილაკაძე

საბერძნეთის პოლიტიკური კრიზისი, რომელიც, თავის მხრივ, ეკონომიკური კრიზისით არის გამოწვეული, ნაწილობრივ მოგვარდა. ამ ქვეყნისკენ ბოლო ორი წელია მიპყრობილია მთელი ევროპისა და, შეიძლება ითქვას, მსოფლიოს ყურადღებაც, რადგან იქ ყველაზე მწვავედ დგას სასესხო კრიზისი, რომელიც საფრთხეს უქმნის ევროს ზონას. ამ თემას დაწვრილებით აშუქებს "24 საათი" და პრობლემა კარგად არის ნაცნობი ჩვენი მკითხველისთვისაც.

მაისში გამართული ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მთავრობის შექმნა ვერ მოხერხდა. უმრავლესობის მოპოვება ვერც ევროს ზონაში დარჩენის ანუ მკაცრი ეკონომიის ზომების მომხრე პარტიებმა შეძლეს და ვერც ხელშეკრულების ანულირებისა და კრიზისიდან "დამოუკიდებლად გამოსვლის" მომხრე მემარცხენე რადიკალებმა.

საჭირო გახდა ივნისში, ექვსი კვირის შემდეგ ხელახალი არჩევნების ჩატარება და ამჯერად "პროევროპულმა" ცენტრისტიკულმა პარტიებმა ჯამში ხმების ნახევარზე მეტი მიიღეს (ამის თაობაზეც ჩვენ უკვე ვწერდით). მთავრობის შექმნა კონსტიტუცი-



ის თანახმად დაეგალა მემარჯვენე ცენტრისტიკული პარტიის "ახალი დემოკრატიის" ლიდერს ანტონის სამარასს, რომელსაც კოალიციის შესაქმნელად სამი დღე ჰქონდა. ამ პარტიამ 129 მანდატი მიიღო 300-იდან.

მოლაპარაკებები ორ დღეში დამთავრდა, რის შესახებაც უკვე გუშინ დილას განაცხადა მემარცხენე ცენტრისტიკის "პასოკის" ლიდერმა ევანგელოს ვენიზელოსმა. საპარლამენტო უმრავლესობას საბერძნეთში შექმნის სამი პარტია: "ახალი დემოკრატია" - 129 მანდატი, "პასოკი" - 33 მანდატი და პარ-

ტია "დემოკრატიული მემარცხენეები" - 17 მანდატი. თავიდან ამ უკანასკნელი პარტიის ლიდერი ფოტის კუვიელიც აცხადებდა, რომ მისი პარტიის წევრები ახალ მთავრობაში არ შევიდოდნენ, მაგრამ პარლამენტში ნდობის ვოტუმის კენჭისყრისა და კანონპროექტების განხილვისას მხარს დაუჭირდნენ ანტონის სამარასის კაბინეტს. უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება შექმნილიყო ორპარტიული კოალიციაც, მხოლოდ "ახალი დემოკრატიისა" და "პასოკის" მონაწილეობით, მაგრამ ამ შემთხვევაში მათ ექნებოდათ პარლამენტის



# სერჟიო მენდესის ბრაზილია

## პირველი გავრცელება

ბათუმის შავი ზღვის ჯაზფესტივალს სწორედ სერჟიო მენდესის კონცერტი დახურავს და ის აუცილებლად შეასრულებს სიმღერას, რომელმაც მომღერალი ერთ დროს დიდ სცენას დაუბრუნა.

ბრაზილიური სამბა, ბოსა ნოვა - ეს ის მუსიკალური ჟანრებია, რომლებთანაც სერჟიო მენდესის სახელი მრავალი ათეული წელია ჰარმონიულად ირითმება. შესაძლოა, ამ ტიპის მუსიკა დიდად არ გვიხიბავდა, მაგრამ გვერნმუნეთ, ჯაზფესტივალის დასკვნითი დღე სწორედ ასეთი უნდა იყოს - ბრაზილიასავით მწველი, თუხთუხა, ფერადი. თუ სერჟიო მენდესის ბენდის წევრების ჩამონათვალს გადავხედავთ, შევინშნავთ, რომ ამ სიაში რეპერის სახელიც იკითხება, რაც უკვე ნიშნავს, რომ წინ მხოლოდ მოკრძალებული ასაკის მომღერლის მოსმენა არ გველის. ამრიგად გირჩევთ, 22 ივლისის კონცერტისთვის წინასწარვე გაენწყოს, დაბალდირიანი, მოსახერხებელი ფესხაცმელი შეარჩიოთ და თავდავიწყებით გადაეშვათ გარეული სამბას რიტმების ტალღებში.

სერჟიო მენდეს არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ ის ბოსა ნოვას აკორდების თანხლებით დაიბადა და მთელი ცხოვრება მასთან ერთად გაატარა. მართლაც ასეა - მის ცხოვრებაში არ ყოფილა პერიოდი მუსიკის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ხსენებული დუეტის ჩაწერამდე მის შესახებ პრაქტიკულად

ალარავის ახსოვდა. თუმცა თავბრუდამხვევი 60-70-იანი წლების შემდეგ სცენისგან დროებითი ჩამოშორება მუსიკოსისთვის მხოლოდ ძალების აღდგენის, საკუთარი შემოქმედების გადაფასება-გადახალისებისა და გაახალგაზრდავებისთვის საჭირო ნაბიჯი აღმოჩნდა.

ექიმის ოჯახში დაბადებული მენდესი მუსიკით ბავშვობიდან, დამოუკიდებლად დაინტერესდა. 20 წლის ასაკიდან უკვე ლამის კლუბებში უკრავდა, სადაც სამბას, მსუბუქ ჯაზს და ბოსა ნოვას ასრულებდა. 60-იანი წლების დასაწყისში საკუთარი ბენდი Sexteto Bossa Rio ჩამოაყალიბა, რომელთან ერთადაც ამერიკისა და ევროპის არა ერთი ქალაქი მოიარა, რასაც ამერიკაში დამკვიდრება და ხმის ჩამწერ სტუდიებთან თანამშრომლობის დაწყება მოჰყვა. 1966 წელს გამოსული ალბომი Herb Alpert Presents ნამდვილი გარღვევა აღმოჩნდა - დისკმა პლატინის სტატუსი მოიპოვა, რაც უდავოდ გახლავთ უკვე ნახსენები კომპოზიცია Mas Que Nada-ს დასახურება რომელიც მალე სერჟიო მენდესის სავიზიტო ბარათად იქცა, შემსრულებელს კი გრანდიოზული პოპულარობა მოუტანა. სწორედ ამ წარმატების ინერციად შეგვიძლია მივიჩნიოთ 1968 წელს მისი გამოსვლა "ოსკარით" დაჯილდოების ცერემონიაზე, რაც, დაგვეთანხმებით, მხოლოდ განსაკუთრებული მუსიკოსების ხვედრია. "ოსკარმა" მენდესს თავი მრავალი წლის შემდეგ "შეახსენა", თუმცა ამჯერად



მუსიკოსი ნომინანტის როლში მოგვევლინა - მის მიერ ანიმაციური "რიოსთვის" დაწერილი კომპოზიცია Real in Rio ამერიკის კინოაკადემიამ წელს ორიგინალური სიმღერის ნომინაციაზე წარადგინა, თუმცა მენდესის ნაცვლად ჯილდო "მაპეტსების" კომპოზიტორს ერგო.

რაც შეეხება მენდესის დიდ დაბრუნებას, ეს მუსიკოსის კარიერასა და ცხოვრებაში მართლაც დიდი შემობრუნება იყო. ამ წელს გამოსულ ალბომ Timeless-ის ჩაწერაში The Black Eyed Peas-ის გარდა სტივ უანდერი, ჯასტინ ტიმბერლეიკი და ბრაზილიური სცენის სხვა ვარსკვლავებიც მონაწილეობდნენ, რაც ალბომის პოპულარობისთვის დამატებითი მოტივაცია აღმოჩნდა.

შავი ზღვის ჯაზფესტივალის მთლიანი პროგრამის შესახებ "24 საათი" არა ერთხელ წერდა, ამიტომ ამჯერად მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ ფესტივალის 17 ივლისს დაიწყება და 22 ივლისამდე გასტანს. რამდენიმე უფასო კონცერტი ქალაქის ქუჩებშია დაგეგმილი, ხოლო ძირითადი კონცერტები ბათუმის როგორც კორტებზე გაიმართება. ჯაზფესტივალს წარმოადგენს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და თბილისი სტატუსი, მხარდამჭერია ბათუმის მერია და აჭარის კულტურის სამინისტრო, დამატებითი ინფორმაცია კონცერტების, ბილეთებზე ფასდაკლებებისა და სხვა საკითხების შესახებ კი იხილეთ ვებგვერდზე batumijazz.ge.

# ქართული ხალხური ზღაპრების ინტელსურენოვანი თარგმანი

## ბალა ჩაქურიშვილი

ქართული ხალხური ზღაპრების ინგლისურ ენაზე მოძიება დღემდე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა როგორც ბავშვებისა და მასწავლებლებისათვის, ასევე მკვლევარებისთვის. ვინაიდან თითქმის ორი საუკუნის წინანდელი, მარჯორი უორდროპისეული თარგმანის შემდეგ, რამდენიმე ქართული ზღაპარი 60-იან წლებშიდა გამოიცა ერთხელ ინგლისურ ენაზე.

უცხო ენაზე თარგმნილი ქართული ხალხური ზღაპრების მიმართ მოთხოვნა განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო წლებში, რაც ქართველთა ემიგრაციას უკავშირდება. უცხოეთში მყოფი ქართველები სულ უფრო ხშირად ეძებენ შვილებისათვის ინგლისურენოვან თარგმანებს.

სწორედ ამ მიზნით, ერთი წლის წინ ამერიკულმა ცენტრმა "ლანგეითმა" და "ამერიკის მეგობართა კლუბმა" ქართული ზღაპრების თარგმნის კონკურსი გამოაცხადა, რომელიც სამ ეტაპად ჩატარდა და მიღებული შედეგით დღეს უკვე ნიგნადექციული ცხრა ზღაპარი გვაქვს. "ნიქარა", "მუჭანახევა", "კომბლე", "ნაცარქექია", "ასფურცელა", "ხუთკუნჭულა" "რწყილი და ჭიანჭველა", "ცეროდენა" - ემიგრანტ ქართველ ბავშვებს შეუძლიათ უკვე ინგლისურად წაიკითხონ, ხოლო პედაგოგებმა სწავლების პროცესში დამხმარე მასალად გამოიყენონ.

პროექტი "თარგმნი ქართული ზღაპრები ინგლისურად" ქართველი მთარგმნელებისათვის ერთგვარი სახელსწიფო იყო. ქართულიდან უცხო ენაზე თარგმნა აშუამად იშვიათად ხდება და მეტ პროფესიონალიზმს მოითხოვს. კონკურსში გამარჯვებულმა მთარგმნელებმა სალომე ნერეთელმა, თამთა ჩეკურიშვილმა, ზაზა კოშკაძემ, ლევან ხარბელიამ, ირაკლი ცომაიამ, მეგი ჯა-



მასპინძილმა, ბერდია კუტუბიძემ, ვატო ბილანიშვილმა და მარიამ იმანიშვილმა ფულადი პრიზების გარდა იშვიათი გამოცდილებაც მიიღეს. თარგმანები კი გამოსაცემად ხელახლა რედაქტირდა, რაზეც პროფესიონალმა ლიტერატორებმა და უცხო ენის სპეციალისტებმა იმუშავეს: ჟიურის თავმჯდომარემ ტატიანა დავიძოვამ - კანადაში Ontario-ს სახელმწიფო კოლეჯის მთავარმა ინსტრუქტორმა და ჟიურის წევრებმა: ბრაიან სმიტმა - ამერიკული საგანმანათლებლო ცენტრის "ლანგეითის" და Oxford House - ის ინგლისური ენის პედაგოგმა, მარინა ჩანკანამა - ამერიკული საგანმანათლებლო ცენტრ "ლანგეითის" დირექტორმა, ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფილოლოგმა, მაია

გიორგაძემ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ინგლისური ენის სპეციალისტმა და მაია ხიზანიშვილი-სმიტმა - ამერიკული საგანმანათლებლო ცენტრ "ლანგეითის" ინგლისური ენის პედაგოგმა. პროექტის ავტორებმა საჭიროდ მიიჩნიეს, ქართული ხალხური ზღაპრების კრებული ორენოვანი ყოფილიყო - ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომელსაც თან ახლავს DVD და აუდიო დისკები. პროექტში მონაწილეობდა თბილისის "გამოყენებითი ხელოვნების სკოლა", რომლის აღსაზრდელთა ნახატებითაც მოხდა კრებულის ილუსტრირება. მათვე დაეგეს ზღაპრების თემაზე სექტაკლები, რომლებიც DVD დისკებზე ჩაწერეს, ხოლო "საავტორო სტუდიამ" ზღაპრების აუდიო ვერსიები ჩა-

წერა, რაც ასევე თან ახლავს კრებულს. როგორც "ლანგეითის" დირექტორმა მარინა ჩანგანამა გვითხრა, ამ პროექტის მიზანი სწორედ იმ ენობრივი და კულტურული ფესვების შენარჩუნებაა, რაც ამერიკაში ემიგრირებული ოჯახების შვილებს ასე ძალიან სჭირდებათ და გარდა იმისა, რომ ეს თარგმანი ემიგრაციაში მყოფ ბავშვებს სამშობლოსთან და ქართულ ხელოვნებასთან დაახლოვებს, უცხო ენაზე შესრულებული ყოველი ლიტერატურული თარგმანი ქვეყნის გარეთ გამოცემული კულტურული დესპანია, რომელმაც მომავალში ამ ქვეყნებთან სერიოზული თანამშრომლობა და ურთიერთობები უნდა მოიქმნას. როგორც მარინა ჩანგანა აღნიშნავს, თუკი კონკურ-

სმა გაამართლა, ცენტრი შეეცდება, ინგლისურ ენაზე ქართული ზღაპრების სოლიდური ტომი გამოცეცს, რაც უკვე საბავშვო პროექტის ფარგლებს გაცდება და ეროვნული მნიშვნელობის საქმე იქნება.

ქართული ხალხური ზღაპრების ინგლისურენოვანი კრებულის პრეზენტაცია, ამერიკაში გაგზავნამდე, რამდენიმე დღის წინ საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა, რაც შეეხება ქართული ზღაპრების პირველ თარგმანს, მარჯორი უორდროპმა იგი 1894 წელს გამოსცა და ანთროპოლოგიის ფუძემდებელს, ედვარდ ბ. ტაილორს მიუძღვნა. მან სათარგმნი მასალა ლადო აღნიშვილის მიერ 1891 წელს გამოცემული ქართული ხალხური ზღაპრების კრებულიდან აიღო. ხოლო, როგორც ნიგნის დასასრულს აღნიშნავს, რედაქტირებაში მას ივანე მაჩაბელი ეხმარებოდა: დიდ მადლობას მოვასხენებ თავად ივანე მაჩაბელს თბილისში, შექსპირის ქართველ მთარგმნელს - მისი გულისხმიერი კორექტურისათვის, - წერს იგი.

ნიგნს ეპიგრაფად წამძღვრებული აქვს სიტყვები სერ ჯონ მალკოლმის (შოტლანდიელი სამხედრო პირისა და ისტორიკოსის) "სპარსული ჩანახატების" XVI თავიდან: "ვიცხადებ, კარგად გაიცნოს ხალხი, არ უნდა უგულვებელყოფოს მათი გადმოცემები თუ ადგილობრივი ცრურწმენები. რაც უფრო აღმატებული, ხელოვნური ადგილი გიჭირავს საზოგადოებაში, მით უფრო უცხოა შენთვის ხალხის გრძობები, რითაც განმსჭვალულია თქმულებები და ზღაპრები."

ფიქრობთ, ქართული ზღაპრების თანამედროვე თარგმანები არა მხოლოდ მკითხველისთვის, იმ მკვლევარებისთვისაც საინტერესო იქნება, ვინც ქართული კულტურითა და, ზოგადად, ამ ქვეყნის ფსიქოსოციალური ფენომენით დაინტერესდება.



# მსაჯის ევრო-ლაფსუსები



ტერიმ ბურთი კარიდან გამოიტანა

ევრო 2012 მსაჯობის თვალსაზრისით სამაგალითო ვერ იქნება. კონტინენტის პირველობა პოლონეთ-საბერძნეთის მატჩით დაიწყო და მსაჯების რამდენიმე უხეში შეცდომით აღინიშნა. პატარ-პატარა უზუსტობები ამის შემდეგაც იყო, მაგრამ რაც უკრაინა-ინგლისის მატჩში მოხდა, ყოველგვარ საზღვარს სცილდება. როდესაც მიშელ პლატინის ინციატივით სამკაცრიან მსაჯთა ბრიგადას კიდევ ორი - ხაზის არბიტრი დაემატა, ითქვა, რომ ამით გოლის ჩათვლასთან დაკავშირებული პრობლემა მოიხსენებოდა, მაგრამ ყველამ თვალნათლივ დაინახეთ, რომ მეხუთე არბიტრი ამ მატჩში უბრალო სატაქსისტი გამოდგა. მან აშკარა გოლი ვერ დაინახა. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამიტომ დარჩა უკრაინის ნაკრები მეოთხედფინალს მიღმა. ახლა ერთად გავიხსენოთ მსაჯთა ლაფსუსები, რომლებიც უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ევროპის ჩემპიონატებზე აღინიშნა.

### ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი, 22-ე ტური. ავსტრია-პოლონეთი 1:1

ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში ორივე გუნდი დამარცხდა და ამ თამაშის მოგება მათ მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსს უნარჩუნებდა. პოლონელები პირველ ტაიმში დაწინაურდნენ და თითქოს გამარჯვებასთანაც ახლოს იყვნენ, მაგრამ მსაჯის მიერ დამატებულ დროში პოლონელთა კარში პენალტი დაინიშნა. ავსტრიელი სებასტიან პრედელი მარიუშ ლევანდოვსკისთან ორთაბრძოლისას დაეცა. პოვარდ უებმა კი ჩათვალა, რომ პოლონელმა წესები დაარღვია. არადა, ეს უბრალო ორთაბრძოლა იყო. მატჩის შემდეგ პოლონელთა თავკაცმა ლეო ბენეშაკერმა განაცხადა, რომ მის გუნდს გამარჯვება მოპარეს. უებმა კი მუქარის რამდენიმე წერილი მიიღო.

### ევრო 2008. მათხალფინალი პოლანდია-რუსეთი 1:3 (დამატებით დროში)

რუსებისთვის ამ ისტორიულ მატჩში სლოვაკი ლუბომ მიხელი ორჯერ უხეშად შეცდა. ძირითად დროის მიწურულს მან დენის

კოლოდინს მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა და, წესით, რუსი უნდა გაეძევებინა, მაგრამ საქმეში ჩაერია მიხელის თანამემწე, რომელმაც მთავარ არბიტრს უთხრა, რომ ბურთმა ჯერ მოედნის პირითი ხაზი გადაკვეთა და მერე დაირღვა წესი. მოხდა უპრეცედენტო რამ: მიხელმა კოლოდინის წითელი ბარათი გააუქმა და თამაში გააგრძელა. დამატებით დროში კი სლოვაკმა მსაჯმა პოლანდიის ნაკრების კარში აშკარა პენალტი არ დაინიშნა. იმ მომენტში ანგარიში საყაიმო იყო.

### ევრო 2004. მათხალფინალი. პორტუგალია-ინგლისი 2:2 (6:5 პენალტების სერიაში)

ძირითადი დროის მიწურულს, როდესაც ანგარიში 1:1 იყო, ინგლისელებმა ჯარიმის უფლება მოიპოვეს. ბექჰემმა ოსტატურად ჩაკიდა ბურთი საჯარიმოში, სოლ კემპბელმა კი წესების სრული დაცვით გაიტანა გოლი. შვეიცარიელმა არბიტრმა ურს მაიერმა გოლი არ ჩავალა. მისი აზრით, ამ ეპიზოდში პორტუგალიის ნაკრების მეკარესთან ჯონ ტერიმ უხეშად ითამაშა. დამატებით დროში გუნდებმა გოლები გაცვალეს, პენალტების სერიაში კი პორტუგალიელებმა იმარჯვეს. ურს მაიერს ბრიტანელი ფანებისგან კარგა ხანს მისდიოდა მუქარის წერილები.

### ევრო 2000. ჯგუფური ეტაპი. პირველი ტური. პოლანდია-ჩეხეთი 1:0

კიდევ ერთი ეპიზოდი, როდესაც არბიტრმა ტურნირის მასპინძლის სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება. ევრო 2000-ის პირველ მატჩში პოლანდიელებმა ვერაფრით ვერ მოახერხეს ჩეხეთის ნაკრების მეკარის პაველ სრიჩეკის კარის დალაშქვრა. 89-ე წუთზე კი ლეგენდარულმა იტალიელმა არბიტრმა პიერლუიჯი კოლინამ ჩათვალა, რომ რონალდ დე ბურის წინააღმდეგ უხეშად ითამაშეს და პენალტი დაინიშნა. არადა, იმ ეპიზოდში ორი ფეხბურთელი პოზიციისთვის იბრძოდა. ასეთი რამ ფეხბურთში ხშირად ხდება და პენალტს თითქმის არავინ ნიშნავს. კოლინამ კი დაინიშნა.

### ევრო 2000. მათხალფინალი. თურქეთი-პორტუგალია 0:2

ამ თამაშში პორტუგალიელები დიდ უპირატესობას ფლობდნენ, პირველი ტაიმის მიწურულს კი პოლანდიელმა არბიტრმა დიკ იოლმა პორტუგალიელთა ამოცანა კიდევ უფრო გაამარტივა. მან მინდვრიდან ალფაი გააძევა, შემდეგ ჩათვალა, რომ თურქებს ვალი უნდა დაუბრუნოს და ალფაის პორტუგალიელი კოუტუ მიაყოლა, თანაც პორტუგალიის ნაკრების კარში პენალტი დაინიშნა.

### ევრო 2000. ნახევარფინალი იტალია-პოლანდია 0:0 (3:1 პენალტების სერიაში)

ნახევარფინალურ მატჩზე გერმანელი არბიტრი მარკუს მერკი ნარინჯისფერი განწყობით გავიდა. პირველივე ტაიმში მან მინდვრიდან გააძევა ჯანლუკა ძამპროტა, შემდეგ კი იტალიელთა კარში ორი პენალტი დაინიშნა. ამ ორი პენალტიდან პირველი საეჭვო იყო. მერკმა წესტასა და კლაივერტის ორთაბრძოლაში იტალიელზე რატომღაც წესების დარღვევა აღნიშნა. პოლანდიელებმა ვერც ერთი პენალტი ვერ გაიტანეს. საქმე მივიდა პენალტების სერიაში, რომელიც იტალიელებმა მოიგეს.

### ევრო 1996. მათხალფინალი. გერმანია-ხორვატია 2:1

კინ იცის, გახდებოდა თუ არა გერმანიის ნაკრები 1996 წელს ევროპის ჩემპიონი, რომ არა შედეგი მსაჯი ლუიფ სუნდელი. მსაჯმა აშკარად "დანვა" ხორვატიის ნაკრები. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ შვედმა პირველივე ტაიმში მშვენიერად მოთამაშე ხორვატიის ნაკრების კარში პენალტი დაინიშნა. მეორე ტაიმში არბიტრმა მინდვრიდან გააძევა ხორვატთა მცველი შტიმაცო. ამას კიდევ რა უჭირს. სუნდელმა გერმანელთა მიერ წესების დარღვევით გატანილი გოლიც ჩათვალა. საგოლე ეპიზოდში იმით დაიწყო, რომ მარკუს ბაბელმა უხეშად ითამაშა რობერტ იარნის წინააღმდეგ. მსაჯმა ეს არ დაინახა, რასაც ზამერის გამარჯვების გოლი მოჰყვა.

### ევრო 1996. ნახევარფინალი ინგლისი-გერმანია 1:1 (5:6 პენალტების სერიაში)

ნახევარფინალში კი თავად გერმანიის ნაკრები დაზარალდა. თამაშის ძირითადი დრო ფრედ დასრულდა. იმხანად ძალაში იყო "ოქროს გოლის" პრინციპი. 96-ე წუთზე შტეფან კუნცმა წესების დაცვით შეძლო ინგლისელთა კარის დალაშქვრა. უნგრელმა მსაჯმა შანდორ პულმა კი რატომღაც წესების დარღვევა აღნიშნა და თამაში პენალტების სერიაში მივიდა. აქ კი სამართლიანობა აღდგა - გერმანიამ მოიგო.

### ევრო 1996. ფინალი. გერმანია-ჩეხეთი 2:1 (დამატებითი დრო)

ფინალურ მატჩში მსაჯმა კინაცამ გერმანია იმსვერპლა. შეხვედრის 59-ე წუთზე, როდესაც ანგარიში 0:0 იყო, იტალიელმა არბიტრმა პიერლუიჯი პაირეტომ გერმანელთა კარში სრულიად უსაფუძვლო პენალტი დაინიშნა. მათთან ზამერმა კარულ პოზორუსკი საჯარიმოს გარეთ დააგდო. პატრიკ ბერგერმა ნიშნულიდან ზუსტად დაარტყა და ჩეხები დაანახაურა. ჩეხები ტურნირის მოგებასთან ახლოს იყვნენ, მაგრამ სამართლიანობა მინც აღდგა. ოლივერ ბირჰოფმა ჯერ გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი დამატებით დროში "ოქროს გოლიც" გაიტანა.

### ევრო 1992. ფინალი. დანია-გერმანია 2:0

დანიის ნაკრების სენსაციურ გამარჯვებას გარკვეულწილად შეცდომებიც არბიტრმა ბრუნო გალერმაც შეუწყო ხელი. დანიელებმა ორივე გოლი წესების დარღვევით გაიტანეს. პირველი ეპიზოდი: მატჩის მე-18 წუთზე კიმ ვილფორტმა ანდრეას ბრემს წინააღმდეგ უხეშად ითამაშა. მსაჯმა ჯარიმა არ დაინიშნა. ბურთი ფლემინგ პოულსენთან მივიდა, რომელმაც საგოლე გადაცემა იონ იენსენს გაუკეთა. მეორე ეპიზოდში, გოლის გატანისას, ვილფორტმა ხელით გაასწორა ბურთი. მიუხედავად ამისა, ფეხბურთის გულშემატკივრის მესხიერებაში დარჩა არა გალერის შეცდომები, არამედ დანიის ნაკრების შთაბეჭდილი თამაში.

### SUPER ინისტა

ევრო 2012-ზე დასრულდა ჯგუფური ეტაპი. ერთ-ერთი ფეხბურთელი, რომელმაც სამივე მატჩში კარგი თამაშით დაგვამახსოვრა თავი, ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველი ანდრეს ინისტაა. ამასთან დაკავშირებით ინტერნეტში ორიგინალური ფოტოები გავრცელდა. საუბრია ორ ფოტოზე. ერთზე ანდრესი ექვსი ხორვატი ფეხბურთელის გარემოცვაშია და, მიუხედავად ამისა, ბურთს მიანიც აკონტროლებს. მეორეზე კი ინისტას შეჩერებას ხუთი იტალიელი ცდილობს.

ფოტოებს წარწერაც აქვს: "ისინი ამბობენ, რომ სამი-ოთხი ფეხბურთელით რონალდუს ან მესისაც გააჩერებთ... მათ არასდროს უთქვამთ, რომ ინისტას გასაჩერებლად ნახევარი გუნდია საჭირო!"

### ბლატერი: "ახალი ტექნოლოგიები აუცილებლობა"

უკრაინისა და ინგლისის ნაკრები გუნდების მატჩში მსაჯმა უკრაინელთა მიერ გატანილი გოლი არ ჩათვალა. მარკო დევიჩის დარტყმის შემდეგ ბურთმა გადაკვეთა კარის ხაზი, მაგრამ ეს ვერც მთავარმა მსაჯმა დაინახა და ვერც ხაზის არბიტრმა. ამკარაა, რომ გოლის დასაფიქსირებლად, რაგბის მსგავსად, ვიდეორეფერია საჭირო, ან რაიმე ტექნოლოგია, რომელიც აღბეჭდავს, გადაკვეთა ბურთმა კარის ხაზი თუ არა. ფიფა და უეფა ახალი ტექნოლოგიების დანერგვას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ. ხაზის არბიტრებიც იმისთვის დაინიშნა, რომ ვიდეოგამოკვლევებისთვის აერიდებინათ თავი. თუმცა, ევრო 2012-ზე მომხდარის შემდეგ ახალი ტექნოლოგიების აუცილებლობაზე თავად ბლატერიც ალაპარაკდა.

"გუშინდელი საღამოს შემდეგ გოლის დაფიქსირების ტექნოლოგია ალტერნატიული ვარიანტი აღარ არის. ეს აუცილებლობაა", - ამბობს ფიფას პრეზიდენტი.

### იოზილს წარმომავლობა დაუნენეს

გერმანიის ნაკრების ნახევარმცველს, მესუთ იოზილს სოციალურ ქსელ "ტვიტერში" რასისტული სახის შეურაცხყოფა მიაყენეს.

ჯგუფური ეტაპის მესამე ტურის მატჩის შემდეგ "ტვიტერის" იუზერმა, სახელად @PiratenOnline, ასეთი სახის გზავნილი გააკეთა: "დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ იოზილი გერმანელი არ არის. ნაკრების გამარჯვება მის წარმომავლობას არ ცვლის. გერმანიის ნაკრებში არ უნდა თამაშობდნენ ფეხბურთელები არაგერმანული გვარებით".

ესპანური მედიის ინფორმაციით, იოზილმა ეს გზავნილი რასისტულ შეურაცხყოფად შეაფასა. ფეხბურთელის ადვოკატი საშა ბოიმერი უკვე ამ საქმით არის დაკავებული.

"დიდხანს ვფიქრობდი, ღირდა თუ არა ამაზე რეაგირება. ვითარება არაერთგვაროვანია, თუმცა, მიმაჩნია, რომ ამის დამწერი უნდა დაისაჯოს", - ამბობს ფეხბურთელის მამა.

მესუთ იოზილი წარმოშობით თურქია, თუმცა, გერმანიის ნაკრებში თამაშობს.

### ქართველი სუმიოსტების წარმატება ევროპის ჩემპიონატზე

15-17 ივნისს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გაიმართა სუმიოსტთა ევროპის ჩემპიონატი, რომელზეც 17 ქვეყნის წარმომადგენლები გამოვიდნენ. ევროპირველობაზე ახალგაზრდებმაც და დიდებმაც მოსინჯეს ძალა. ჩემპიონ-პრიზიორები გამოვლინდნენ ხუთ წონით კატეგორიასა და პირად-გუნდურ პირველობაში.

საქართველოს დელეგაცია ევროპის ჩემპიონატზე ხუთი სპორტსმენით გამოვიდა და რვა მედალი დაისაკუთრა. დიდებში ორი ვერცხლის მედალი მოიპოვა ავთანდილ ცერცვაძემ (+115 კგ-სა და აბსოლუტურ წონაში).

ვერცხლის მედალი მოიპოვა საქართველოს ნაკრებმა პირად-გუნდურ შეჯიბრებაში (ავთანდილ ცერცვაძე, ზაზა ბალაშვილი, იასონ კარიბოვი, ზურაბ აქუბარდია).

ახალგაზრდებში ჩემპიონის ტიტული დაიმსახურეს გიგა გელაშვილმა (+100 კგ.) და ზურაბ აქუბარდიამ (აბსოლუტური). ამ უკანასკნელმა 100 კგ-ში ვერცხლიც მოიპოვა, გუნდურ შეჯიბრებაში კი, გელაშვილთან ერთად, ოქროს მედალი დაისაკუთრა.

ევროპირველობის მსვლელობის დროს გაიმართა სუმიოსტების ევროპის ფედერაციის კონგრესი, სადაც საქართველოს სუმიოსტების ფედერაციის პრეზიდენტი თენგიზ რუხაძე ევროპის სუმიოსტების ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს.

### სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს პრესამსახური



### ფრთოსანმა კოლუმბიელმა ოთხი რეკორდი დაამხო



კოლუმბიელმა ჯონათან ფლორესმა გუაჰირის ნახევარკუნძულის (კოლუმბია) თავზე ერთი ნახტომით ერთბაშად ოთხი მსოფლიო რეკორდი დაამხო. 29 წლის ექსტრემალი პირველი ადამიანია, რომელმაც ვინგსუითით (ერთგვარი ფრთოსანი კოსტიუმი) თავისუფალი ვარდნით ათკილომეტრიანი ზღვარი გადალახა - თვითმფრინავის ბორტიდან ასეთი რეკორდებისთვის ყველაზე მაღალი წერტილიდან, 11 ათასი მეტრი სიმაღლიდან გადმოხტა. მისი ნახტომი დროში ყველაზე მეტად გაწელილი და ფრენის სიჩქარითაც განსაკუთრებული გამოდგა.

ბუნებრივია, როდესაც კაცი ასეთ ნახტოვს დგამს, მას დამკვირვებლებიც თან ახლავს. კოლუმბიელ სპორტსმენს თვალს ადევნებდნენ გინესის რეკორდების წიგნის ოფიციალური წარმომადგენლები, რომლებმაც დააფიქსირეს კიდევ რეკორდები.

ადრენალინის მოყვარულმა დედამიწისკენ ფრენა დაიწყო მინუს 45-გრადუსიან ტემპერატურაზე. ფრენის ხანგრძლივობამ შეადგინა 9 წუთი და 2 წამი, ხოლო თავისუფალი ვარდნის სიჩქარემ - 160 კმ/სთ.

ჯონათანმა პარაშუტი დედამიწამდე ერთი კილომეტრით ადრე გახსნა.

...არცთუ ისე დიდი ხნის წინათ სარისკო რეკორდული ნახტომით კიდევ ერთმა ექსტრემალმა გამოიჩინა თავი. 42 წლის ბრიტანელმა კასკადორმა დარი კონერმა უპარაშუტოდ იფრინა 730 მეტრი და მშვიდობიანად დაეშვა მუყაოს კოლოფების გროვანზე.

## ახალგაზრდა ბორჯღალოსნებმა კანადა დაამარცხეს

პირველი გზარიდან

პირველისგან განსხვავებით, საქართველოს ნაკრები მეორე ტაიმში უკეთ ათამაშა. დაცვაშიც უფრო აგრესიულად დადგნენ, მონინალმდევე ფიზიკურად დაჩაგრეს, რამაც იან სმიტის გუნდს მნიშვნელოვანი უპირატესობა მოუტანა.

სტარტზევე ლაშა ლომიძემ ძალიანი ლელოთი გამოიჩინა თავი. ოლონდ ამჯერად ნიკოლაჟას გაუცუდდა გარდასახვა - 24:17.

ქართველ 20 წლამდელთა უპირატესობა უფრო გაიზარდა, როდესაც ბურჯმა გიორგი თეთრაშვილმა მონინალმდევეს მესამე ლელო დაუდო. გარდასახვა თამაზ მჭედლიძემ შეასრულა და იქვე საბოლოო ანგარიში დაფიქსირდა - 31:17.

22 ივნისს საქართველოს ნაკრები ეთამაშება ზიმბაბვეს ძლიერ გუნდს, რომელიც იაპონიასთან 36:39 დამარცხდა.

### 2012 წლის მსოფლიო თასის "ალაფა"

სოლტ ლეიკ სიტი (აშშ). 18-30 ივნისი

#### ბ ჯგუფი

18 ივნისი. I წრე

საქართველო-კანადა.....31:17 (19:17)

საქართველო: 15. საბა ნიკოლაჟა, 14. გიორგი ბინაძე, 13. ზურაბ ძნელაძე, 12. თამაზ მჭედლიძე, 11. ლევან გოგოლაშვილი, 10. გოდერძი ჭინჭარაული, 9. ვაჟა ზუციშვილი; 1. გიორგი თეთრაშვილი, 2. გიორგი ლომთაძე, 3. ვახტანგ ახობაძე, 4. მინდია ელგუჯაური, 5. სანდრო ქოიავა, 6. ელგუჯა სურგულაძე (კაპ.), 7. ბექა მამრიკიშვილი, 8. ლაშა ლომიძე.

სათადარიგოები: 16. არჩილ ბუფაშვილი, 17. ვაჟა თავაური, 18. ზაზა ნავროზაშვილი, 19. გურამ შენგელია; 20. გიორგი მისრიაშვილი, 21. გიორგი ბასილაია, 22. გიგა გაგოშვილი.



შეტევაზეა ელგუჯა სურგულაძე

განაცხადში არ იყვნენ: გიორგი მჭედლიშვილი, საბა ბერაძე, მერაბ შარიქაძე, ბახვა კობახიძე.

მთავარი მწვრთნელი: იან სმიტი

თანაშემწეები: ლადო კილასონია, ირაკლი ჭყონია

იაპონია-ზიმბაბვე .....39:36

1. იაპონია .....1 1 0 0 39-36 5  
 2. საქართველო 1 1 0 0 31-17 4  
 3. ზიმბაბვე .....1 0 0 1 36-39 2  
 4. კანადა .....1 0 0 1 17-31 0

22 ივნისი. II წრე  
 საქართველო-ზიმბაბვე  
 იაპონია-კანადა

26 ივნისი. III წრე  
 კანადა-ზიმბაბვე  
 იაპონია-საქართველო

#### ა ჯგუფი

18 ივნისი. I წრე

ჩილე-რუსეთი .....53:19  
 აშშ-ტონგა .....22:11  
 1. ჩილე .....1 1 0 0 53-19 5

2. აშშ .....1 1 0 0 22-11 4  
 3. ტონგა .....1 0 0 1 11-22 0  
 4. რუსეთი .....1 0 0 1 19-53 0

22 ივნისი. II წრე  
 ტონგა-რუსეთი  
 აშშ-ჩილე

26 ივნისი. III წრე  
 ტონგა-ჩილე  
 აშშ-რუსეთი

30 ივნისი. ფინალები

## ლებრონის ტკივილი და ვან ჰელსინგი

ალექსანდრე ასათიანი ტკივილი არ გტკივა, თუ ტკივილზე არ ფიქრობ. "ოკლაჰომასთან" სერია ლებრონ ჯეიმსისთვის ტკივილია. ძველი, შეჩვეული, ახლობელი ტკივილი. ის ტკივილი, რომელმაც ორჯერ მოიკითხა მისტერ ჯეიმსი. ადრე, ხუთი წლის წინ, ლებრონს ტექსასში ელექტროხერხით პრივატული სეანსი აჩუქეს. ის სერია "სან ანტონიომ" 4:0 დახურა. ჯეიმსი პატარა იყო. შარშან ჯეიმსს კიდევ ერთმა ტექსასურმა ბანდამ ატკინა. "დალასმა" გაუგებარი სეზონი გაუგებრად - 4:2 დახურა. ჯეიმსი უკვე დიდი ბიჭი იყო. ლებრონი ტკივილს შეეჩვია, საძინებლის კარს უღებდა და იქვე, თავქვე მუშაობდა და იქვე, თავქვე მუშაობდა. ტკივილს ეძინა.

ტკივილმა ჯეიმსი სერიის მეოთხე თამაშშიც მოიკითხა. ძირითადის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე, ლებრონს ეტკინა. ძალიან ეტკინა. ჯეიმსი გაიყვანეს და ჯეიმსი დაბრუნდა.

იმ წუთებში "მაიამი" 5-6 ქულას იგებს. სტაბილურად იგებს. კეევინ დიურანმა და მეორე ცელქმა კრიმინალმა, რასელ უესტბრუქმა თამაში დაქაჩეს. უესტბრუქი არარეალურად კარგი იყო და ცოტა პასიურმა კეევინმა საქმე მაინც გააკეთა. "ოკლაჰომამ" სერიოზული გუნდია. "ოკლაჰომამ" პირველ წრეში იმ დროისთვის მოქმედი ჩემპიონი, დიკუ ნოვიციკის და ჯეისონ კიდის "დალასი" დაწვა და სერია 4:0 აიღო. "ოკლაჰომამ" მეორე წრეში კობი ბრაიანტის და ჯეკ ნიკოლსონის ძმაცაცებს ნაართვა ოქროსფერი ღურბინი და სერია 4:1 გადაკეცა. "ოკლაჰომამ" კონფერენციის ფინალში ზედიზედ ოთხი თამაში წამოიღო ტიმ დანკანის "სან ანტონიოსგან" და "ოკლაჰომამ" სუპერფინალიც მოგებთ გახსნა. მერე აიჭრა და "მაიამიმ" ის

მომენტი დაიჭირა. ლებრონმა სერია შეატრიალა და ჯეიმსი ამ სერიის ინდიანა ჯონსია. იმ ვაცვეთილი ქუდის, მათარახის და შონ კონერის ბუნწულა პერსონაჟის გარეშე.

ძირითადის დასრულებამდე 2 წუთი და 54 წამი რჩებოდა. ლებრონმა ერთი წამით დააჭერინა ყავარჯენი მაიკ მილერს, აინია და შორიდან სამიანი ჩასვა. იმ სამიანით "მაიამიმ" სამი ქულა (97:94) წაიყვანა და დარჩენილ რთულ წუთებში ფლორიდამ მისაღები მიიღო. "მაიამიმ" სერიის მეოთხე თამაში 104:98 აიღო და საერთოში 3:1 წაიყვანა. ჯეიმსმა ერთი 48 (ან მეტი) წუთიც უნდა დაფაროს და დამთავრდება ცხრანლიანი ლოდინი. ცხრანლიანი გოლგოთა, რომელიც ჯეიმსს ახსოვს და რომელმაც ლებრონს ტკივილი გააცნო. ტკივილი, რომელიც არ მიდის. ჯერ იქ არის, მზესუმზირას აფურთხებს და რაღაცას ელოდება.

ფინალების ისტორიაში 3:1-დან გუნდს სერია არ წაუგია. თუ ჯეიმსი ითამაშებს და პასიური არ იქნება, "მაიამი" თეთრი სახლის ვიზას მიიღებს. თეთრ სახლში მუქ პრეზიდენტთან საინტერესო აუდიენციაზე. მუქი პრეზიდენტი ლებრონის გულშემატკივარია. ყოველ შემთხვევაში, ამბობს, რომ არის. თეთრ სახლში წინ წლის ჩემპიონები შედიან.

ჯეიმსისთვის "ოკლაჰომამ" დაჭრილი, დაგდებული ხარია, რომელსაც განიერი, ალესილი, სისხლშემშრალი დანა გულში უნდა შეუყვანო. დამთავრდება ხარისა და მატადორის წამება და რაღაც ახალი, უფრო საინტერესო დაინყება. საინტერესო ყველასთვის, ხარის გარდა. ხდება ხოლმე.

ლებრონი "ოკლაჰომასთან" მეოთხე თამაშში - 44 წუთი (თავისი 20 წამით), 26 ქულა, 12 პასი, 9 მოხსნა,



ლებრონ ჯეიმსმა მეოთხე გარჩევაში თითქმის სამმაგი დუბლი დასვა

2 ჩაჭრა, 16/9 სამუალო, 4/1 სამიანი, 8/5 საჯარიმო. ძალიან კარგი, აკურატული, მეჯიქური თემა. ჯეიმსი ამ გენერაციის მისტერ ჯონსონია. ლებრონმა შეასრულა. წამოიღო.

დაგლიჯა "მაიამი" უესტბრუქმა. ზამბარებიანმა ახალგაზრდამ მაქსიმუმში მაქსიმუმი აიღო. თითქმის 46 წუთი, 43 ქულა, 7 მოხსნა, 5 პასი და 32/20 ზუსტი სროლა. სამიანის გარეშე 43 ქულის აღება ძნელია. თუ

შაკი ან... შაკი არ ხარ. უესტბრუქმა საქმე იცის და რასეღმა ბოლო წუთებზე რამდენიმე ცუდი შეცდომა მაინც დაუშვა. ერთხელ ბურთი მუხლში გაიტყცა. ბოლო წამებზე, როდესაც "მაიამიმ" სამი ქულა წაიყვანა, რასი იღებს ფოლს მარო ჩალმერსზე. ცუდი, ზედმეტი ფოლი. იმ მომენტში "ჰიტს" სროლისთვის 5 წამი რჩებოდა და რასს ეს დაავიწყდა. ჩალმერსმა ორივე საკონტრო-

ლო გასროლა აითვისა. მარო ჩალმერსი მარო ჩალმერსზე კარგი იყო. 25 ქულა დაირტყა. კრის ბოშმა იმოძრავა, 13 ქულას 9 მოხსნა დაუშვა. 8 ქულა ნორის კოულმა დადო. შეინ ბეტიემ დაცვაში გახსნა მანქეტე და დიურანს ატკინა.

"მაიამის" უნდა მოეგო. და ერიკ სპოულსტრას ლეკვებმა "ოკლაჰომამ" დაძიძგნეს. ლეკვებმა სერიის ერთი თამაშით მოიკლეს შიმშილი და მეხუთე თამაშში "მაიამი" სავეს მთვარეს დაელოდებოდა. "ოკლაჰომამ" ისევ ვან ჰელსინგი უნდა გამოიძახოს. ან სერია ფლორიდაში დამთავრდება.

ტკივილი არ გტკივა, თუ ტკივილზე არ ფიქრობ. "ოკლაჰომასთან" სერია ლებრონ ჯეიმსისთვის ტკივილია. ძველი, შეჩვეული, ახლობელი ტკივილი. ის ტკივილი, რომელმაც უკვე ორჯერ მოიკითხა მისტერ ჯეიმსი. ადრე, ხუთი წლის წინ, ლებრონს ტექსასში ელექტროხერხით პრივატული სეანსი აჩუქეს და ატკინეს. ის სერია "სან ანტონიომ" 4:0 დახურა. ხერხი ბრიუს ბოუენს ეჭირა. ჯეიმსი პატარა იყო. შარშან ჯეიმსს კიდევ ერთმა ტექსასურმა ბანდამ ატკინა. "დალასმა" გაუგებარი სეზონი გაუგებრად, 4:2 დახურა. ჯეიმსი უკვე დიდი ბიჭი იყო. ლებრონი ტკივილს შეეჩვია, საძინებლის კარს უღებდა და იქვე, თავქვე მუშაობდა და იქვე, თავქვე მუშაობდა. ტკივილს ეძინა.

ეძინა პირველ რვა სეზონში ლებრონ ჯეიმსსაც. და მგელმა გაიღვიძა.

"ოკლაჰომას" ვინმემ ვან ჰელსინგის მობილურის ნომერი უნდა შეახსენოს. ან გუნდი სისხლისგან დაიცვება.

ლებრონი, The KING? შეიძლება...